პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი
14
ივლისი
1937 წ.
№ 159 (4960)

სტალინური ფრთებით საბჭოთა ქვეყნის გმირები ვაჟკაცურად მიაპობენ სივრცეს მოსკოვი—ჩრდილოეთის პოლუსი—ჩრდილო ამერიკის მიმართულებით.

არ არის ციხე-სიმაგრე, რომლის აღება არ შეეძლოთ სოციალიზმის სამშობლოს სახელოვან ადამიანებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმის ფიზკულტურა

მომხიბვლელი და წარმტაცია ჩვენი ცხოვრება! უყურებ მას და გინდა მუდამ, მუდამ იცოცხლო — ღრმა შინაგანი პათოსით ამბობდა დაუვიწყარი სერგეი მირონის-ძე კიროვი.

საბჭოთა ხალხის ღვიძლმა შვილმა და ტრიბუნმა ამ მოკლე ფრაზით შესანიშნავად ასახა ჩვენი მდიდარი, შინაარსიანი, საამური, მიმზიდველი შრომა და ცხოვრება. მხოლოდ ჩვენში, სოციალიზმის სამშობლოში, „ასე თავისუფლად სუნთქავს ადამიანი". გაიფურჩქნა მისი მატერიალური, სულიერი და ფიზიკური კულტურა. ადამიანის ინტელექტუალური „მთვლემარე ძალები", ხელ-ფეხ შეკრული, შესალტული შრომის ექსპლოატაციისა და კერძო საკუთრების მხეცურ ინსტინქტთა ბატონობის პირობებში, განთავისუფლდა, მათ მიეცა ლაღი განვითარების განუსაზღვრელი ასპარეზი.

ბედნიერ საბჭოთა ადამიანს მკერდში გული ვაჟკაცურად უცემს, მის ძარღვებში ჯანსაღი სისხლი სჩქეფს, მისი გონება სოციალიზმის ქვეყნის მსოფლიო - ისტორიული მაშტაბის წარმატება - გამარჯვებაზე მუშაობს. გმირულ ეპოქაში აუცილებლად გინდა იყო გმირი, და გაწუხებს ამის დაუძლეველი ჟინი.

საამურია ცხოვრება, რადგან საამურია შრომა. შრომის სოციალისტური ფორმა ჰქმნის, აყალიბებს ახალ ადამიანს, შევარდენივით სწრაფსა და ვეფხვივით მარდს მტრებთან და ბუნებასთან ბრძოლაში, კომუნიზმის მშენებლობის პროცესში.

ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულში! ძველთა ძველი სიბრძნე ამ ლოზუნგით გამოთქმული. ფსიქიური არ არსებობს ფიზიკურის გარეშე, მეორე პირველის საფუძველია. ზრუნვა ფიზიკურად ჯანსაღი, მჩქეფარე ენერგიით, სიცოცხლით აღსავსე ადამიანზე არის სოციალიზმის შინაბუნება. ისტორიას მხოლოდ ადამიანები ჰქმნიან.

ფიზიკური კულტურის სათავეები შორიდან იწყება. ძველ რომსა და სპარტაში, ანტიურ ქვეყანაში „ჯანსაღი სხეულის" კულტი არსებობდა. აქ გადამწყვეტ როლს კლასობრივი ინტერესი თამაშობდა. ფიზკულტურა თვით ხალხის მასებს არ ეხებოდა. ფიზკულტურა პატრიციების, მყვლეფელების გასართობ საგანს შეადგენდა. ღატაკი ხალხის, პლებსის კუნთები, მათი მოძრაობა მონათმფლობელთა გართობის, ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. გავიხსენოთ გლადიატორთა ბრძოლა ძველ რომში და ჩვენთვის ნათელი გახდება ანტიური ფიზკულტურის მთელი „მშვენიერება".

კაპიტალისტური ფიზკულტურა აშკარად გამოხატავს საზოგადოების მდიდარი ფენების კლასობრივ ინტერესებს. „ჯანსაღი სხეული" აქ ბურჟუაზიის ექსპლოატატორულ და იმპერიალისტურ მიზნებს ემსახურება. ამის ცოცხალი მაგალითია გერმანული ფაშიზმი. იგი „ანვითარებს" სპორტის სხვადასხვა სახეს გარკვეული მიზნით — მოამზადოს ზარბაზნის „მსუქანი ყუმბარები". ფიზკულტურა ფაშისტურ ქვეყნებში არის ახალი ომისთვის მზადება. ფაშისტური ფიზკულტურა ადამიანის ფიზიკურ - სულიერი ძალების შებოჭვაა, წვალება, ბარბაროსობა და სადიზმი.

სადაც ხალხი დამონავებულია, იქ ხალხის ფიზიკურ კულტურაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამას გვეუბნება საზოგადოებრივი განვითარების ჭაღარა ისტორია, ამას ამტკიცებს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების სინამდვილე.

მხოლოდ მუშათა კლასის დიქტატურის ქვეყანაში, სოციალიზმის დიად ეპოქაში სახალხო ფიზკულტურა შლის ფრთებს, მშობლიური ზრუნვის საგანი ხდება, იგი ედება მილიონებს. საბჭოთა ფიზკულტურა — ესაა ადამიანზე დაუღალავი ზრუნვის ერთერთი მკაფიო გამოხატულება. მისი მიზანი და დანიშნულება საბჭოთა ხალხის ჯანსაღობაა, სიმშვენიერე, მხიარული ცხოვრება, ხალისიანი შრომა, ნათელი აზრი და გონება, შრომისა და თავდაცვისათვის მზადყოფნა. საბჭოთა ქვეყანა გმირთა ქვეყანაა, ფიზკულტურა ამ გმირთა ერთერთი ანკარა წყაროა.

სწრაფად ვითარდება საბჭოთა ფიზკულტურის ყველა დარგი და უბანი. საქართველოში ამჟამად 116 ათასი ფიზკულტურელია. ეს არის შრომისა და თავდაცვის საკმაოდ დიდძალი არმია. სწრაფად ვითარდება სპორტის ყველა სახე, განსაკუთრებით ტანვარჯიში და ფეხბურთი. სასპორტო ხელოვნების დარგში გვყავან მოწინავე ადამიანები, რომლებსაც მოპოვებული აქვთ საკავშირო და ხშირად მსოფლიო რეკორდსმენის საპატიო სახელი. კომკავშირელი დ. იოსელიანი, ინჟ. ელენე გოკიელი, ი. მაჭავარიანი და ჩიხლაძე საქართველოს ფიზკულტურის სიამაყენი არიან. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ ჩვენი ფეხბურთელთა გუნდი „დინამო" ასე წარმატებით, სახელოვნად იბრძვის საკავშირო პირველობისათვის.

ასეთივე სურათია სხვა მოძმე ნაციონალურ რესპუბლიკებში, მთელ საბჭოთა კავშირში.

ხალხს უყვარს თავისი ფიზკულტურელები, უყვარს ფიზკულტურა. პარტია და ხელისუფლება მშობლიურად ზრუნავენ სახალხო ფიზკულტურაზე. ამის გამომხატველია ის გარემოებაც, რომ ყოველწლიურად იმართება ფიზკულტურული დღესასწაული, ახალგაზრდობის, სიჭაბუკის გრანდიოზული პარადი.

გუშინწინ, 12 ივლისს, ჩვენი დიადი ქვეყნის დედა-ქალაქში თავი მოიყარა რამდენიმე ათეულმა ათასმა ფიზკულტურელმა 11 მოკავშირე რესპუბლიკიდან. საქართველოდან მონაწილეობა მიიღო 200 საუკეთესო ფიზკულტურელმა. იქ, წითელ მოედანზე, საბჭოთა ფიზკულტურა გამოვიდა მთელი თავისი ელვარებით ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის წინაშე. მოხდა სოციალიზმის ფიზკულტურის მიღწევათა შესანიშნავი, ბრწყინვალე დემონსტრაცია.

დიადია სტალინური ეპოქა. ბედნიერია ამ ეპოქის თაობა. ბედნიერია ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობაც, რომელიც იზრდება, ყალიბდება, ვაჟკაცდება ლენინ-სტალინის პარტიის მშობლიური მზრუნველობით, რომელსაც უხდება შრომა და ცხოვრება ქვეყანაში, სადაც გაკეთებულია ისტორიული „ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში". სოციალიზმი უკვე აშენებულია ძირითადად.

მზად ვიყოთ შრომისა და თავდაცვისათვის!

ხალხის მტრებთან, სამშობლოს მოღალატეებთან შეუპოვარ ბრძოლაში მუდამ მარდად, ვაჟკაცურად გვეჭიროს შიშველი ხმალი და გამანადგურებელი მახვილი!

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

მოსკოვის მეტროპოლიტენის მესამე რიგის მშენებლობის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ 1937 წელს მთავრდება „ბ" რგოლის დიდი ნაწილის რეკონსტრუქცია, რაც საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნას ამ რგოლზე მგზავრების გადაყვანა მიწისქვეშა ტრანსპორტით — ტროლეიბუსებითა და ავტობუსებით, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, თავისი ა. წ. 8 იანვრის დადგენილების შესაბამისად, მოსკოვის ორგანიზაციების წინადადებით დააწესეს მოსკოვის მეტროპოლიტენის მე-3 რიგის ხაზთა მშენებლობის ასეთი შემადგენლობა:

ზამოსკვორეჩიის რადიუსი—სვერდლოვის მოედნიდან სტალინის სახ. ქარხანამდე — სიგრძით 6,5 კილომეტრი სადგურებით: ნოვოკუზნეცკაია — პაველეცკის ვაგზალი — სტალინის სახ. ქარხანა.

პოკროვსკის რადიუსი — კურსკის ვაგზლიდან სტალინის სახელობის სტადიონამდე — სიგრძით 7,3 კილომეტრი სადგურებით: სპარტაკის სადგური—ელექტროქარხანა, სტალინის სახ. სტადიონი.

მე-3 რიგის მშენებლობა განხორციელდება დახურული წესით: გვირაბების გათხრა იწარმოებს ფარებით და თუჯის ტუბინგებით დამაგრდება.

გადასარბენებზე სვერდლოვის მოედანი — სადგ. „ნოვოკუზნეცკაია" და „პაველეცკაია" — სტალინის სახ. ქარხანა, ხაზი გაივლის მდინარე მოსკოვის ქვეშ, რისთვისაც გაყვანილი იქნება წყალქვეშა გვირაბები.

მოსკოვის მეტროპოლიტენის მე-3 რიგის მშენებლობა გადაწყვეტილია დაიწყოს 1937 წლის მე-3 კვარტალში და დამთავრდეს: პოკროვსკის რადიუსი 1939 წლის ივნისში, ზამოსკვორეჩიის რადიუსი — 1939 წლის დეკემბერში.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაევალა 1938 წლის 1 იანვრისათვის წარმოუდგინოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად მოსკოვის მეტროპოლიტენის მე-3 რიგის მშენებლობის ტექნიკური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

ბ-ნ სანდლერის დეპეშა ამხ. მ. მ. ლიტვინოვს

ვტოვებ რა თქვენს ქვეყანას, მე მხურვალე მადლობას ვუთვლი თქვენს აღმატებულებას იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მე გამიმართეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. მე ძვირფასი და სასიამოვნო მოგონებები დამრჩება ჩემი მოსკოვში ყოფნისა და თქვენი გულითადი სტუმართმოყვარეობის შესახებ. გთხოვთ მიიღოთ, აგრეთვე გადასცეთ ქ-ნ ლიტვინოვას ჩემი გულწრფელი მადლობა.

სანდლერი.

ბ-ნი სანდლერი დაბრუნდა სტოკჰოლმს

სტოკჰოლმი, 11 ივლისი (საქდესი). შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. სანდლერი დღეს თვითმფრინავით დაბრუნდა სტოკჰოლმში მოსკოვს მგზავრობიდან.

ძირსდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვი-ჩრდილოეთის პოლუსი-ჩრდილო ამერიკა

რადიოგრამები თვითმფრინავიდან „ანტ 25"

12 ივლისი, 3 საათი და 43-44 წუთი. ვიმყოფებით ზაგორსკში. მისმინეთ 54,92 მეტრის ტალღაზე. ყველაფერი რიგზეა.

დანილინი.

4 საათი და 15 წუთი. ვიმყოფებით: განედი 57 გრადუსი და 10 წუთი, გრძედი 38 გრადუსი და 40 წუთი. ფრენის სიმაღლე 500 მეტრი. წინ სჩანს გროვა ღრუბლიანობა.

დანილინი.

5 საათი და 10 წუთი. ვიმყოფებით: განედი 58 გრადუსი და 25 წუთი, გრძედი 39 გრადუსი და 50 წუთი. ყველაფერი რიგზეა. ზაგორსკიდან მივდივართ მთლიან შრეულ ღრუბლიანობაზე მაღლა. ფრენის სიმაღლე 900 მეტრი. ჩვენს მაღლა 9-ბალიანი შრეულ-გროვა ღრუბლიანობაა. გაიმეორეთ რადიოგრამა № 3. მისაღებად მზად ვარ.

დანილინი.

6 საათი და 31 წუთი. ვიმყოფებით: განედი 60 გრადუსი, გრძედი 41 გრადუსი. ფრენის სიმაღლე 1.700 მეტრი. მივფრინავ ღრუბლებს ზევით, დროდადრო ბრმად მივფრინავ. რადიოგრამები № 3 და № 4 მთლიანად მივიღე. გისმენთ 53,24 მეტრის ტალღაზე. ყველაფერი რიგზეა.

დანილინი.

7 საათი და 9 წუთი. № 4 მივიღე, ვიმყოფებით: განედი 61 გრადუსი და 20 წუთი, გრძედი 41 გრადუსი და 30 წუთი. მივფრინავ ღრუბლებს ზევით.

დანილინი.

7 საათი და 48-52 წუთი. ყველაფერი რიგზეა. ზაგორსკიდან მოყოლებული მიწა არ გვინახავს. ჩვენს ქვემოთ მთლიანი ღრუბლიანობაა, ჩვენს ზევით წყვეტილი ღრუბლებია. გვაცნობეთ, ღიაა თუ არა ზღვის ნაპირი და რა ქარია 1.500 მეტრის სიმაღლეზე.

დანილინი.

8 საათი და 10-12 წუთი. ყველაფერი რიგზეა. გაიმეორეთ უკანასკნელი რადიოგრამა.

დანილინი.

9 საათი და 15-16 წუთი. № 8 მივიღე. გაიმეორეთ მურმანსკის ტალღა. მისაღებად მზად ვარ.

დანილინი.

9 საათი და 50 წუთი. არხანგელსკი კარგად მესმის. მურმანსკი არ მესმის. რატომ? 9 საათსა და 10 წუთზე ვიყავით არხანგელსკის განედზე. მივფრინავ ღრუბლებს ზევით.

დანილინი.

10 საათი და 14 წუთი. თქვენი რადიოგრამა № 10 მთლიანად მივიღე. ყველაფერი რიგზეა.

დანილინი.

11 საათი და 38-39 წუთი. ვიმყოფებით: განედი 67 გრადუსი და 30 წუთი, გრძედი 47 გრადუსი და 20 წუთი.

დანილინი.

12 საათი და 21-25 წუთი. თქვენი № 12 მივიღე. ვიმყოფებით: განედი 67 გრადუსი და 45 წუთი, გრძედი 47 გრადუსი და 40 წუთი. მისმინეთ 26,35 მეტრის ტალღაზე.

დანილინი.

13 საათი და 21-25 წუთი. ვიმყოფებით კოლგუევში. ყველაფერი რიგზეა.

დანილინი.

14 საათი და 17 წუთი. ვიმყოფებით: განედი 70 გრადუსი, გრძედი 51 გრადუსი. ყველაფერი რიგზეა.

დანილინი.

15 საათი და 25 წუთი. თქვენი მივიღე. კარგად მესმის, მაგრამ სამართი ფერხდება. გისმენთ 32,8 მეტრის ტალღაზე. ახალი მიწა.

15 საათი და 15 წუთი. სიმაღლე 600. ყველაფერი რიგზეა.

იუმაშევი.

16 საათი და 9-12 წუთი. ყველაფერი რიგზეა.

იუმაშევი.

17 საათი და 26-30 წუთი. გისმენთ ტალღაზე 18-36. ვიმყოფებით: განედი 74 გრადუსი და 10 წუთი, გრძედი 56 გრადუსი. ყველაფერი რიგზეა.

დანილინი.

18 საათი და 20-28 წუთი. თქვენ ცუდად მესმის ტალღაზე 18,36. დიქსონი სრულიად არ მესმის. ვიმყოფებით: განედი 76 გრადუსი, გრძედი 58 გრადუსი. ყველაფერი რიგზეა.

დანილინი.

19 საათი და 11-12 წუთი. ვიმყოფებით: განედი 77 გრადუსი და 20 წუთი, გრძედი 58 გრადუსი.

დანილინი.

20 საათი და 15-17 წუთი. რუდოლფის შუქურა არ მესმის. მესმის სურვილის კონცხის შუქურა. ვიმყოფებით: განედი 78 გრადუსი და 50 წუთი, გრძედი 56 გრადუსი. დიქსონი არ მესმის.

„რ. ტ."*).

21 საათი და 25 წუთი. ვიმყოფებით: განედი 81 გრადუსი და 30 წუთი, გრძედი 58 გრადუსი. გისმენთ ტალღაზე 18,36.

დანილინი.

23 საათი და 08—10 წუთი. თავს ვაღწევთ ციკლონს. მივფრინავთ ბრმად. ყველაფერი რიგზეა.

დანილინი.

13 ივლისი. 0 საათი და 15 წუთი. თავს ვაღწევთ ციკლონს. ვიმყოფებით: განედი 86 გრადუსი, გრძედი 58 გრადუსი. ფრენის სიმაღლე 4.500 მეტრი.

დანილინი.

1 საათი და 05 წუთი. კარგად მესმის 18,36 მეტრ ტალღაზე. მისმინეთ 26,35 მეტრ ტალღაზე. ყველაფერი რიგზეა.

დანილინი.

2 საათი და 07 წუთი. სალამი არქტიკის დამპყრობლებს პაპანინს, კრენკელს, შირშოვს, ფედოროვს. თვითმფრინავ „ანტ-25"-ის ეკიპაჟი.

გრომოვი, დანილინი, იუმაშევი.

3 საათი და 14 წუთი. მივუახლოვდით პოლუსს. ფრენის სიმაღლე 2.700 მეტრი. გზის სიჩქარე 160 კილომეტრი საათში. ჰაერის ტემპერატურა მინუს 8 გრადუსი. ეკიპაჟი კარგად გრძნობს თავს. ყველაფერი რიგზეა.

დანილინი.

4 საათი და 50 წუთი. ვიმყოფებით: განედის 88 გრადუსი, გრძედი 120. ყველაფერი რიგზეა.

დანილინი.

13 ივლისი. 10 საათი, 47 წუთი. ვიმყოფებით მელვილის სრუტის თავზე. ყველაფერი რიგზეა.

დანილინი

11 საათი, 10 წუთი. ვიმყოფებით განედის 74 გრადუსზე, გრძედის 120 გრადუსზე. მისმინეთ 54,92 მეტრ ტალღაზე, გადმომეცით 34,8 მეტრ ტალღაზე.

დანილინი

12 საათი, 12 წუთი. მისმინეთ 54,92 მეტრ ტალღაზე. გადმომეცით 34,9 მეტრ ტალღაზე.

დანილინი

---

*) „რ. ტ." — „ანტ-25" თვითმფრინავის სახელის ნიშნებია.

რუდოლფის კუნძულზე

მოსკოვი, „პრავდა"

რუდოლფის კუნძული, 12 ივლისი („პრავდის" სპეც. კორ. რადიო). (საქდესი). დღეს 22 საათსა და 01 წუთზე თვითმფრინავმა „ანტ-25" გადაუარა რუდოლფის კუნძულს აეროდრომის აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.000 მეტრ სიმაღლეზე.

ლიბინი.

ჩრდილოეთის პოლუსის თავზე

როგორც გადაფრენის შტაბში აცნობეს „პრავდის" კორესპონდენტს, თვითმფრინავი „ანტ—25" მიფრინავს ზუსტად განრიგების მიხედვით. მას, გაფრენის წინ შედგენილი გრაფიკით, ჩრდილოეთის პოლუსისათვის უნდა მიეღწია 3 საათსა და 27 წუთზე. თვითმფრინავი პოლუსზე იმყოფებოდა 3 საათსა და 14 წუთზე. გადაფრენის შტაბმა თვითმფრინავის ეკიპაჟს გაუგზავნა შემდეგი რადიოგრამა:

„გვახარებს გადაფრენის ბრწყინვალე მსვლელობა. მოგილოცავთ სარეკორდო დროში პოლუსის მიღწევას—გისურვებთ სრულ წარმატებას.

შტაბი".



ამხ. მ. მ. გრომოვი
საბჭოთა კავშირის გმირი

ფოტო „სოიუზფოტოსი"

სტალინური ტრასით

საუბარი საბჭოთა კავშირის გმირ ამხ. მ. მ. გრომოვთან

შორითს ძირსდაუშვებელ გადაფრენაზე დიდხანს ვოცნებობდი. პირველად კონკრეტულად 1924 წ დავისახე ამოცანად მომეხდინა ასეთი გადაფრენა, მაგრამ მაშინ შესაძლებლობა ამისათვის არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ მსოფლიოშიც ჯერ კიდევ არ იყო. ჩვენს განკარგულებაში იყო მხოლოდ სამოქალაქო ომის დროიდან დარჩენილი ძველი მოდის აეროპლანები ძალიან შეზღუდული შესაძლებლობებით. ჩვენი სამშობლო მაშინ ის-ის იყო ისხამდა ნორჩ, მაგრამ მაგარ საავიაციო ფრთებს. ამ შემოქმედებითს მუშაობაში მთელი ქვეყანა იღებდა მონაწილეობას. მე ვიცოდი, რომ დადგებოდა დრო, როდესაც ჩვენ, საბჭოთა მფრინავები, შევძლებდით ჩვენი სამშობლოსათვის სიამაყით, მშვენიერი საბჭოთა თვითმფრინავებით გვეჩვენებინა ახალი და ახალი გამარჯვებანი ჰაერის სტიქიონზე. და მე არ შევმცდარვარ. ეს დრო დადგა. ჩემი ოცნება რეალობად იქცა. ჩვენ ვაწყობთ გადაფრენას მოსკოვ-ფრანც იოსების მიწა-ჩრდილოეთის პოლუსი—ჩრდილო ამერიკის დიდი სტალინური საჰაერო ტრასით, რომელიც გაიკვლიეს ამხანაგმა ჩკალოვმა, ბაიდუკოვმა და ბელიაკოვმა.

I.

1925 წელს მოვახდინე პირველი ჩემი დიდი გადაფრენა მოსკოვ-პეკინის მარშრუტით, რომლის სიგრძე 7 ათას კილომეტრს აღემატებოდა. ექვსი საბჭოთა თვითმფრინავი, რომელთა რიცხვში ჩემიც იყო, მიფრინავდა გობის უდაბნოზე, მონღოლეთის ქვიშრობზე პეკინისაკენ და შემდეგ ყვითელი და იაპონიის ზღვებით—ტოკიოსაკენ. უვნებლად დავეშვი რა პეკინში, შევიტყე, რომ ფრანგმა აროშარმა მოახდინა ბრწყინვალე გაფრენა ევროპის ირგვლივ, ამასთან მისი მარშრუტი სიდიდით უდრიდა ჩემსას, მაგრამ ფრენა გრძელდებოდა სამ დღეს ჩვენი კი—33 დღეს. ამ ცნობამ მე დიდად ამაღელვა. მას შემდეგ მუდამ თავს დამტრიალებდა აზრი მეჩვენებინა მთელი მსოფლიოსათვის, რომ ჩვენ, საბჭოთა მფრინავებს, უცხოელებზე ნაკლებად არ შეგვიძლია ფრენა.

გავიდა კიდევ ერთი წელი და ჩვენი ქვეყანა გამდიდრდა თვითმფრინავით „ანტ—3" („პროლეტარი"), რომელიც შექმნა ცენტრალური აეროჰიდროდინამიკურ ინსტიტუტში ანდრია ნიკოლოზის-ძე ტუპოლევის ხელმძღვანელობით. მე იმავე 1926 წელს მომცეს წინადადება ამ თვითმფრინავით მომეხდინა სამ დღეში ისეთივე გაფრენა ევროპის ირგვლივ, როგორიც იყო აროშარისა. გადაფრენა წარმატებით დამთავრდა, აროშარის რეკორდი უკან მოვიტოვე და მე აღვსილი ვიყავი სიამაყით ჩემი სამშობლოსათვის, ჩვენი თვითმფრინავისა და მოტორისათვის. ფრანგმა მფრინავებმა დიდი პატივი დამდეს, ამირჩიეს რა, „როგორც 1926 წლის მსოფლიოს საუკეთესო მფრინავი", თავისი კლუბის „ძველი ღეროების" წევრად.

დავბრუნდი რა ამ გადაფრენიდან, მე განვაგრძობდი მუშაობას როგორც მფრინავ-გამომცდელი.

1929 წელს მოვახდინე მეორე გადაფრენა ევროპის ირგვლივ თვითმფრინავით „ანტ—9" („საბჭოების ფრთები"). ამ გადაფრენამ ერთხელ კიდევ აჩვენა მთელ მსოფლიოს, თუ რა სწრაფად იზრდება ჩვენი საავიაციო ტექნიკა, როგორ იზრდებიან ჩვენი ავიაციის ადამიანები. თვითმფრინავი „ანტ—9" იმ დროს მიხედვით საუკეთესო მანქანა იყო ევროპაში.

1934 წელს ჩვენმა ქვეყანამ მოშანდო გამომცადა მსოფლიოში უდიდესი სახმელეთო თვითმფრინავი „მაქსიმ გორკი", რომელმაც მთელი მსოფლიოს აღტაცება გამოიწვია.

II.

მრავალი წლის განმავლობაში დიდი ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს საავიაციო ტექნიკის ზრდას და ბრძოლას პირველობისათვის პირდაპირი ხაზით შორითი ძირსდაუშვებელ გადაფრენათა დარგში. პირველი მსოფლიო რეკორდები ეკუთვნოდა აროშარს, რომელიც 1926 წელს გადაფრინდა პარიზიდან არაბეთში და დაახლოვებით 45 საათში დაფარა 4,5 ათასამდე კილომეტრი. თითქმის იმავდროულად საფრანგეთის სამსახურის ორი კაპიტანი—ჟირიე და დორდილი—თვითმფრინავ „ბრეგეთი" გაფრინდა პარიზიდან ომსკში. მათ დაამყარეს ახალი მსოფლიო რეკორდი, გაიფრინეს რა ძირსდაუშვებლად 4.700 კილომეტრზე მეტი.

შალე პირველობისათვის ბრძოლის ასპარეზზე გამოჩნდა ამერიკელი მფრინავი ლინდბერგი. მან განუწყვეტლივ იფრინა 32 საათს და დაფარა სარეკორდო მანძილი—6 ათასამდე კილომეტრი ნიუ-იორკსა და პარიზს შუა. პირველობა შემდეგ გადავიდა ინგლისელებზე, შემდეგ იტალიელებზე, მათგან კი ფრანგებზე. კოსტმა და ბელონმა „ბრეგეთი" პარიზიდან ციციკარამდე გაიარეს 7.900 კილომეტრი.

1933 წელს ფრანგმა მფრინავებმა კოდოსმა და როსიმ მონოპლან „ბლერიოთი" გაიფრინეს 9.104 კილომეტრი ფლოიდ-ბენეტ (ჩრდილო-ამერიკა)— რაიაკის (სირია) მარშრუტით.

მაგრამ ყველა ეს გადაფრენა, როგორც წესი, ხდებოდა ფრიად მარჯვე ტრასებით. კოდოსისა და როსის გადაფრენა ჩატარდა იმ ადგილებში, სადაც ბლომად არის რადიოსადგურები, იმ რაიონში, სადაც იყო ბევრი გემი, რომლებიც თვითმფრინავს გადასცემდნენ მეტეოროლოგიურ ცნობებს.

გადაფრენა მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩრდილოეთის პოლუსით, რაც ჩკალოვმა, ბაიდუკოვმა და ბელიაკოვმა მოახდინეს, ატლანტის ოკეანეზე ლინდბერგის გადაფრენის შემდეგ, წარმოადგენს განსაკუთრებულ მოვლენას საავიაციო ცხოვრებაში. იწყებდნენ რა ამ გადაფრენას, საბჭოთა გმირები არ ისახავდნენ მიზნად გადაეჭარბებინათ მსოფლიო რეკორდებისათვის. ამისათვის მათ შეეძლოთ აერჩიათ უფრო ადვილი, შესწავლილი ტრასა.

III.

1936 წელს იუმაშევმა, დანილინმა და მე დავიწყეთ მზადება შორითი ძირსდაუშვებელი გადაფრენისათვის. ჩვენს განკარგულებაში იყო თვითმფრინავი „ანტ—25".

1937 წლის გაზაფხულზე ჩკალოვთან, ბაიდუკოვთან და ბელიაკოვთან ერთად ჩვენ მთავრობას წარვუდგინეთ სათანადო განაცხადი თხოვნით—ნება დაერთო ჩვენთვის საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში გადავფრენილიყავით ჩრდილოეთის პოლუსით.

10 ივნისს დამიბარეს ამხანაგ სტალინთან. როცა კაბინეტში შევედი, დავინახე, რომ დიდ მაგიდას უსხდნენ ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი და ვოროშილოვი. აქვე იყვნენ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. მეჟლაუკი, თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. რუხიმოვიჩი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე არმიის მე-2 რანგის სარდალი ამხ. ალკსნისი და პროფესორი ა. ნ. ტუპოლევი.

იოსებ ბესარიონის-ძემ ალერსიანად გამიღიმა და მაგრად ჩამომართვა ხელი. გულთბილად მომესალმნენ აგრეთვე ამხანაგები მოლოტოვი და ვოროშილოვი.

მე გადავეცი ჩემი თხოვნა: ნება დაერთოთ ჩემთვის ჩკალოვთან ერთად მომეხდინა გადაფრენა პოლუსით. დაწვრილებით ვილაპარაკე ჩემი გადაფრენის გეგმაზე, მანქანასა და მოტორზე. დაიწყო მსჯელობა. ამხანაგმა სტალინმა, მოისმინა რა ყველა მოსაზრება როგორც გადაფრენის სასარგებლოდ, ისე წინააღმდეგ, განაცხადა, რომ იგი ხმას აძლევს ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილებას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვა, რომ ჩვენ არ გაგვეწია რისკი და აუცილებლობის შემთხვევაში დავშვებულიყავით ჩრდილო ამერიკის ყოველ პუნქტში.

IV.

ამრიგად, ჩვენ მივფრინავთ ჩრდილოეთის პოლუსზე დიადი სტალინური ტრასით. ამ შორ გზას ჩვენ გავუდგებით ისეთივე მანქანით, როგორიცაა ის, რომლითაც მოახდინეს გადაფრენა ამხანაგებმა ჩკალოვმა, ბაიდუკოვმა და ბელიაკოვმა. ჩვენი თვითმფრინავის ფრთებს კაშკაშა თეთრი ასოებით წარწერილი აქვს: „ანტ—25".

ხანგრძლივმა მუშაობამ ამ თვითმფრინავის კონსტრუქციაზე, გულმოდგინე წრთვნამ, მრავალგზის გამოცდამ შესაძლებლობა მოგვცა შევუდგომოდით პირდაპირი ხაზით ამ შორითი გაფრენის მოწყობას. ამ გადაფრენაში უდიდეს სამსახურს გამიწევს ის გამოცდილება, რომელიც შევიძინე 1934 წლის სექტემბერში. თვითმფრინავ „ანტ—25"-ით მე ამხ. ფილინთან და სპირინთან ერთად მაშინ დავყავი ჰაერში 75 საათი და ამ ხნის განმავლობაში შეკრული მრუდით დავფარეთ 12.411 კილომეტრი მანძილი. ჩვენ ჯერ მივფრინავდით პატარა სიმაღლეზე. მეორე დღეს უკვე ავიღეთ სიმაღლე 3 ათასი მეტრი. მალე ამის შემდეგ, როგორც კი თვითმფრინავისაკენ გუნდ-გუნდად წამოვიდა ღრუბლების ფრონტი, ჩვენ იძულებული ვიყავით კიდევ უფრო მაღლა ავსულიყავით. 5 ათასი მეტრის სიმაღლეზე რადიო აღარ მუშაობდა, გაგვეყინა სასმელად წაღებული ნარზანი და ჩაი. ჩვენ საკმაოდ თბილად გვეცვა და მაინც ვიყინებოდით სიცივით. კაბინი არ ყოფილა გათბობილი.

თვითმფრინავი მიფრინავდა ხარკოვისა და დნეპროპეტროვსკის ოლქების ტერიტორიაზე, მაგრამ დროდადრო თავს ისე ვგრძნობდით, თითქოს არქტიკაში ვყოფილიყავით. ეს იყო გადაფრენის მესამე დღეს. მოსკოვიდან მოდიოდა ჭექა-ქუხილის ფრონტი, ხარკოვი იმუქრებოდა მთლად ფენოვანი ღრუბლიანობით.

გადაფრენა მოსკოვიდან ამერიკაში ჩრდილოეთის პოლუსით, რასაკვირველია, შეუდარებლად უფრო ძნელია. ჩვენ მივფრინავთ უცნობ ადგილებში და, გარდა ამისა, უზარმაზარი მანძილი პირდაპირი ხაზით შესაძლებლობას გვისპობს წინასწარ გავაკეთოთ ზუსტი მეტეოროლოგიური პროგნოზი. ეს დაადასტურა ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის გადაფრენამ. მათ ოკეანეებსა და ყინულებზე გზის დიდი ნაწილი გაიარეს ისე, რომ ბრმად მიფრინავდნენ. განედის 72 გრადუსთან ჩკალოვი, ბაიდუკოვი და ბელიაკოვი წააწყდნენ ციკლონს და იძულებული იყვნენ გადაეხვიათ ფრანც იოსების მიწისაკენ.

გავითვალისწინეთ რა ეს, ჩვენ გადავწყვიტეთ რამდენადმე შეგვეცვალა ჩვენი გაფრენის მარშრუტი. გავფრინდებით რა მოსკოვიდან, ვიღებთ კურსს ახალი მიწისაკენ, იქიდან კი რუდოლფის კუნძულისაკენ და შემდეგ რუდოლფის მერიდიანით ჩრდილოეთის პოლუსისაკენ.

თვითმფრინავი „ანტ—25" თითქოს სპეციალურად არის შექმნილი ჩვენი გადაფრენისათვის. მე უკვე ვილაპარაკე მის უნარზე გაიაროს დიდი მანძილი.

„ანტ—25"-ს აქვს ორმაგი მართვა. მეორე მფრინავს ამხ. იუმაშევს და მე შეგვიძლია ვმართოთ თვითმფრინავი ისე, რომ ჩვენი ადგილი არ დავტოვოთ. გარდა ამისა, ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს მძიმე პირობებში ორივემ ერთდროულად ვმართოთ თვითმფრინავი. თვითმფრინავის მზის მიხედვით ფრენის გასაადვილებლად ჩვენ თვითონ შევიმუშავეთ ერთი მეტად მარტივი ხელსაწყო. მისი დედაარსი შემდეგში მდგომარეობს: თვითმფრინავის კაპოტზე მიმაგრებულია ჯოხი, რომლის მზის ჩრდილისათვის თვალყურის დევნება საშუალებას აძლევს მფრინავს კონტროლი გაუწიოს შტურმანის მიერ მოცემულ კურსს. რასაკვირველია, თვითმფრინავი აღჭურვილია აგრეთვე რადიოთ.

ვიწყებთ რა გადაფრენას, ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ წარმატებაში. სიტყვას ვაძლევთ ჩვენს დიად ხალხს, რომ სასახელოდ შევასრულებთ ამხანაგ სტალინის საპატიო დავალებას.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება ახალ ძირსდაუშვებელ გადაფრენაზე მარშრუტით მოსკოვი-ჩრდილოეთის პოლუსი-ჩრდილო ამერიკა

ნიუ-იორკი, 13 ივლისი (საქდესი). „ანტ—25"-ის გადაფრენის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების რადიოსადგურებმა გაავრცელეს ცნობები გმირ საბჭოთა მფრინავების ამ ახალი ტრანსპოლარული ძირსდაუშვებელი გადაფრენის შესახებ. ცნობებმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მოსკოვის ცნობები გადაფრენის დაწყების შესახებ დღეს მოთავსებულია ამერიკის გაზეთების პირველ გვერდზე. „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი დენი შენიშნავს, რომ მძიმე დატვირთული თვითმფრინავის მიწიდან აფრენა უკვე თავისთავად დიდი გამარჯვებაა.

„გრომოვი, — აღნიშნავს კორესპონდენტი,—ზემფრინავთა საბჭოთა პლეადის ერთერთი წარმომადგენელია — ავიატორის უშესანიშნავესი ტიპი — მაღალი, ლამაზი, მშვიდი. იუმაშევი და დანილინი—უაღრესად სასიამოვნო ადამიანები არიან".

ლონდონი, 12 ივლისი (საქდესი). გაზეთების მეტმა ნაწილმა მოათავსა ცნობა, რომ დაიწყო ახალი ძირსდაუშვებელი გადაფრენა მარშრუტით მოსკოვ-ჩრდილოეთის პოლუსი—ჩრდილო ამერიკა. გადაფრენის ცნობას განსაკუთრებით აღნიშნავენ გაზეთები „დეილი ექსპრესი", „ნიუს ქრონიკლი" და „დეილი ტელეგრაფი".

როდესაც მიღებულ იქნა „ანტ-25"-ის გადაფრენის დაწყების ცნობა, გაზეთების მეტი ნაწილი უკვე დაბეჭდილი იყო. მაგრამ, „დეილი ექსპრესმა" გადააკაბადონა თავისი პირველი გვერდი და მოათავსა საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. გრომოვის გადაფრენის ცნობა, როგორც დღის მთავარი ცნობა.

სიახალგაზრდავის, ძალისა და სიმარდის პარადი

მზემ ზენიტს მიაღწია და კრემლის კედლებთან ტრიბუნები უკვე ივსება სტუმრებით. მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, ხელოვნებათა ოსტატები, წითელი არმიის მეთაურები მოვიდნენ აქ ფიზკულტურელთა პარადზე. სტუმრებს შორის ტრიბუნებზე მოსჩანან ბასკთა ქვეყნის ფეხბურთელები, სახელოვანი შვილები გმირი ხალხისა, რომელიც მამაცად იბრძვის საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

სსრ კავშირის ცაკის შენობის ფრონტონი მორთულია ვეებერთელა ალისფერი მატერიით, რომელზედაც სიყვარულით გამოყვანილია სიტყვები: „მხურვალი სალამი ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარს ამხანაგ სტალინს!"

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის პირდაპირ ეწყობიან, ემზადებიან რა პარადისათვის, მოსკოვის, ლენინგრადის ფიზკულტურელები, მოძმე რესპუბლიკათა წარმოგზავნილნი. ლამაზი და თვალისმომჭრელია წითელი, ცისფერი, თეთრი, ნარინჯისფერი, ლურჯი, იისფერი, ყვითელი, მწვანე პერანგების შეხამება.

პარადის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ჩუბარი, ჟდანოვი, ეჟოვი, დიმიტროვი და ხრუშჩოვი. მოედანზე და ტრიბუნებზე კრემლის კედლების გასწვრივ გრიალებს აღფრთოვანებული და მქუხარე ტაში. დიდხანს არ სცხრება „ვაშას" ძახილი და მისალმების შეძახილები ხალხთა დიდი ბელადის, საყვარელი და მშობლიური ამხანაგი სტალინის პატივსაცემად, მის უახლოეს მეგობართა და თანამებრძოლთა პატივსაცემად.

პარადს დაესწრნენ აგრეთვე ამხ. უგაროვი, ბუდიონი, ალკსნისი, ლიტვინოვი, სტეცკი, ბუბნოვი, ბულგანინი, ფილატოვი და სხვ.

სრულ 13 საათზე პარადის სარდალი ორდენოსანი პოლკოვნიკი ტოლშენნიკოვი იძლევა ბრძანებას „სმენა". სრული სიჩუმე. ფიზკულტურელთა რიგები ოდნავადაც არ ირხევიან. კრემლის სპასკის ალაყაფის კარიდან წითელ მოედანზე სწრაფად გამოდის ავტომობილი, რომელშიაც სხედან პარადის მიმღები ფიზკულტურის და სპორტის საქმეთა სრულიად - საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ხარჩენკო, საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კოსარევი, პროფკავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოს მდივანი ამხ. მოსკატოვი და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა მოსკოვის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ერასტოვი. პარადის სარდალი პოლკოვნიკი ტოლშენნიკოვი იძლევა პატაკს.

ამხ. ხარჩენკომ, კოსარევმა, მოსკატოვმა და ერასტოვმა ჩამოუარეს წითელ მოედანს. მიესალმნენ რა ფიზკულტურელებს, ისინი ავიდნენ მავზოლეუმის ტრიბუნაზე. ამხ. ხარჩენკო სიტყვით მიმართავს პარადის მონაწილე ფიზკულტურელებს.

— გაუმარჯოს იმას, ვინც ყოველდღიურად იჩენს ჩვენს მიმართ სიყვარულსა და მამობრივ მზრუნველობას, ვინც გვაფრთოვანებს ახალი და ახალი გამარჯვებებისათვის, ვისაც მტკიცედ მიჰყავს ქვეყანა წინ და ვისი სახელიც წარმოადგენს ჩვენს დროშას, რომლისთვისაც მზად ვართ გავსწიროთ ჩვენი სიცოცხლე. გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს ამხანაგ სტალინს!

ამხ. ხარჩენკოს ამ დასკვნით სიტყვებს მქუხარე ტაში ჰფარავს. აღფრთოვანებული მისასალმებელი შეძახილები გაისმის მოედნის ყველა კუთხიდან და ერთვიან „ინტერნაციონალის" მძლავრ ჰანგებს.

მოკლე მკაფიო სიტყვით გამოდის ამხ. ა. ვ. კოსარევი.

— დღეს ჩვენს ხალხს, ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას, ჩვენს ხელმძღვანელ ამხანაგ სტალინს, მშრომელების ჩვენს მთავრობას ვუჩვენებთ ჩვენი ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის შედეგებს. ქვეყნიერებაზე არსად მოიპოვება და არ არის შექმნილი ისეთი პირობები მოზარდი თაობის აღზრდისა, განათლებისა და ფიზიკური განვითარებისათვის, როგორიც ჩვენს საბჭოთა სოციალისტურ ქვეყანაში.

ჩვენში იზრდება მამაცი, ძლიერი, მძლავრი მოდგმა კომუნიზმისათვის ახალგაზრდა მებრძოლებისა, რომელნიც მზად არიან გადალახონ ყოველგვარი დაბრკოლება და ყოველგვარი სიძნელე. ჩვენი მტრები ამიტომ არიან გაჟღენთილი საბჭოთა ახალგაზრდობისადმი მხეცური სიძულვილით, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა სტალინურ მოდგმას წარმოადგენს.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენ ხელმძღვანელობას გვიწევს კომუნიზმის დიადი პარტია, ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენ გვზრდის, გვაწრთობს და გვაკაჟებს სოციალიზმის საუკეთესო მებრძოლი — ჩვენი დიდი ამხანაგი სტალინი.

ჩვენ სავსებით გვამართლებთ სოციალისტური სამშობლოს ზრუნვას, ბოლშევიკთა სრულიად - საკავშირო კომუნისტური პარტიის ზრუნვას, ჩვენი ხალხის ზრუნვას, ჩვენი პარტიის ზრუნვას ჩვენს ახალგაზრდობაზე, და თუ ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის დადგება ომიანობის საშიში დრო, ახალგაზრდობა, ლენინ - სტალინის პარტიის მიერ გამოზრდილი, იქნება კომუნიზმისათვის ბრძოლის პირველ, ყველაზე ძნელ უბნებზე.

საბჭოთა ახალგაზრდობა შემდგომაც წავა ამხანაგ სტალინის გზით. არ გადავუხვევთ რა ამ გზას, ჩვენ მივაღწევთ კომუნიზმამდე.

— გაუმარჯოს ჩვენს აღმზრდელს, ხელმძღვანელსა და ბელადს ამხანაგ სტალინს! ვაშა!

მოედანი და ტრიბუნები ტაშს უკრავენ. გაისმის „ინტერნაციონალი". ათი ათასობით ადამიანთა სასიხარულო მისალმებანი მიმართულია მშობლიური ბელადისა, მასწავლებლისა და მეგობრისადმი — ამხანაგ სტალინისადმი.

იწყება სიახალგაზრდავის, ძალისა და სიმარდის დემონსტრაცია, ბედნიერი სტალინური თაობის პარადი.

13 საათსა და 25 წუთზე მავზოლეუმის წინ, ხსნის რა პარადს, გაივლის მედროშეთა კოლონა. მის რიგებში მოსკოვის საწარმოთა 400 საუკეთესო სტახანოველია. ზღვა დროშებშორის აღმართულია გიგანტური ბაირაღი, რომლის ალისფერ ტილოზე სწერია: „კონსტიტუციის დიად შემოქმედს ამხანაგ სტალინს— ფიზკულტურული სალამი!" კოლონის თავზე აღმართულია ამხანაგ სტალინის უზარმაზარი პორტრეტი. რთული პირამიდა დაგვირგვინებულია სსრ კავშირის გერბით და 11 მოკავშირე რესპუბლიკათა გერბებით.

მედროშეებს მიჰყვება სპორტის დამსახურებულ ოსტატთა რაზმი, რომლებსაც მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს. მათ შორის არიან — სსრ. კავშირის ჩემპიონი ბოქსში მიხაილოვი, ცნობილი მორბენალნი ძმები ზნამენსკები, ფეხბურთის მოედნის ოსტატები ძმანი სტაროსტინები, წითელი არმიის ერთერთი საუკეთესო ფიზკულტურელი ანიკანოვი და სხვ. მსოფლიო რეკორდსმენები მიდიან ალისფერი ლენტით გულმკერდზე, სსრ კავშირის რეკორდსმენები — ცისფერი ლენტით.

გაივლის მრავალრიცხოვან გადასვლათა - სათხილამურო, წყლის, საველოსიპედო, საციგურო და სხვა გადასვლათა მონაწილეების რაზმი. მოძმე რესპუბლიკების ფიზკულტურელთა კოლონას ხსნის უკრაინის წარმოგზავნილთა რაზმი. ისინი მოიმართებიან გამოკვეთილი ნაბიჯით, — სადღესასწაულოდ განწყობილნი და მორთულნი. თვალს ახარებს ქალიშვილთა გვირგვინები და ფერადფერადი ლენტები, ჭაბუკთა მოქარგული პერანგები. უკრაინელებს შემდეგ მოდიან ბელორუსიის, აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის, თურქმენეთის, უზბეკისტანის, ტაჯიკისტანის, ყაზახსტანის, ყირგიზეთის ფიზკულტურელები, ახოვანნი და კუნთმაგარნი ისინი ცხადჰყოფენ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის გამარჯვებებს მთელს საბჭოთა კავშირში. აღფრთოვანებული მისალმებანი სსრ კავშირის ხალხთა ენებზე მიმართულია მავზოლეუმის ტრიბუნისაკენ, სადაც იმყოფება ეპოქის უდიდესი ადამიანი, თვითეული მშრომელისათვის ახლობელი და მშობლიური—სტალინი.

საყოველთაო ყურადღებას იპყრობს ყირგიზეთის ფიზკულტურელთა რაზმი. ფიზკულტურელთა პარადზე მოსკოვში დამსწრენი პირველად ხედავენ მონადირე კოლმეურნეებს, რომლებსაც ხელზე დასმული ჰყავთ არწივები-ბერკუტები.

მოედანზე გარბიან მსუბუქ სასპორტო კოსტუმებში გამოწყობილი ბავშვები. ისინი მიაგორებენ ფერად ლენტებშემოვლებულ დიდ გვერგვებს. ნორჩ პიონერთა ნაკრებ კოლონის ზევით ტრანსპორანტზე მოსჩანს წარწერა — „მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი ბავშვობისათვის!" ბავშვთა რიგებში მიდიან ნორჩი ვოროშილოველი მსროლელნი, ავიამოდელისტები, წყალმაშველნი. ცალკე ჯგუფები ასრულებენ თავისუფალ მოძრაობას. პატარები მაღლა სწევენ ყვავილთა თაიგულებს, მისალმების ნიშნად უქნევენ მათ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. მხიარული და სიხარულით აღსავსენი მიდიან ისინი, სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ბავშვები, რომელნიც დაიბადნენ კაცობრიობის ისტორიის ყველაზე შესანიშნავ წლებში.

საუცხოოდ მწყობრად მოდიან ლენინგრადის ლესგაფტის სახ. ფიზკულტურის ინსტიტუტის, სტალინის სახ. ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის და ფიზკულტურის მოსკოვის საოლქო ტექნიკუმის სტუდენტები. გიმნასტთა ნაკრები კოლონა უჩვენებს მრავალგვარ გიმნასტიკურ ვარჯიშობას.

მოდიან საზოგადოება „ლოკომოტივის" წითელპერანგა ფიზკულტურელები. ისინი თამაშობენ ფეხბურთს, ფრენბურთს, კალათბურთს ისე, რომ ერთი წუთითაც არ აჩერებენ სვლას. ლენტებით გაყოფილია რინგები, რომლებზედაც იბრძვიან ბოქსიორები. სწრაფად მოსრიალებენ მარხილები ყინულის ხელოვნური მთიდან. მოსკოვის სტალინის სახ. ავტოქარხნის ფიზკულტურელებს ამაყად მოაქვთ წითელ მოედანზე კომფორტაბელური ლიმუზინი „ზის".

ერთიმეორეზე მიდიან ტრიბუნებთან სასპორტო საზოგადოებათა ფიზკულტურელების რაზმები. ქარი არხევს ნაირნაირი ფერის აბრეშუმის დროშებსა და ბაირაღებს. ღონიერი ხელები მაღლა სწევენ ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ასობით პორტრეტებს.

მქუხარე ოვაციას იწვევს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ფიზკულტურელთა მრავალრიცხოვანი რაზმის გამოჩენა.

ფიზკულტურელთა საზეიმო მარში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 40.000-მდე კაცმა, გაგრძელდა 15 საათსა და 30 წუთამდე. განსაკუთრებით საინტერესოდ იყო გაფორმებული ორი ბოლო კოლონა სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის" და „დინამოს" კოლონები. დინამოელთა კოლონას წინ მიუძღოდნენ მედროშეები. შემდეგ მიჰქონდათ ამხანაგ სტალინის უზარმაზარი პორტრეტი, გარშემოვლებული ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გერბებით. ამჟამად სსრ კავშირში არის „დინამოს" 397 საზოგადოება. დინამოელებმა დაამყარეს 22 რეკორდი, რომლებიც მსოფლიო რეკორდებს აღემატებიან. ორიგინალურად და მხატვრულად იყო შესრულებული მოსკოვ-ვოლგის არხის რაბის რთული კონსტრუქცია, შემკობილი ლენინისა და სტალინის ქანდაკებებით. ცისფერპერანგა ფიზკულტურელები ცოცხალ ნაკადად გამოდიოდნენ რაბიდან.

15 საათსა და 30 წუთზე მავზოლეუმის ტრიბუნის წინ გაიარა დინამოელთა უკანასკნელმა ჯგუფმა. სსრ კავშირის რუკაზე ეწერა სიტყვები: „მტერი ვერ გადმოაბიჯებს ჩვენს საზღვრებს". საბჭოთა ქვეყნის ფხიზელი მესაზღვრენი დაკვირვებით ადევნებენ თვალს თავისი დიადი სოციალისტური სამშობლოს საზღვრების მიღმა მხარეს და მზად არიან პასუხი გასცენ მტერს, საიდანაც უნდა მოინდომოს მან საბჭოთა კავშირის წმინდა მიწაწყალზე თავდასხმა.

დამთავრდა საზეიმო მარში, და მოკლე შესვენების შემდეგ დაიწყო მოკავშირე რესპუბლიკების ფიზკულტურელთა კოლექტივებისა და სასპორტო სასწავლებლების გამოსვლები. წითელი მოედანი ცისარტყელას ყველა ფერით ელვარებდა. ადამიანები მოედანზე ცეკვავდნენ და მღეროდნენ, ასრულებდნენ ფიზკულტურულ დამუხტვას და თამაშობდნენ ფეხბურთს.

მოედანი იქცეოდა ბრძოლის ველად, სადაც იმართებოდა გააფთრებული ხელჩართული შეტაკებანი ხიშტებით და ხდებოდა სამოტოციკლო ტრეკად, სადაც მანქანების დახელოვნებული წამყვანნი და ტანმოვარჯიშენი თავის ვირტუოზულ ოსტატობას გვიჩვენებდნენ.

სტუმრები ტრიბუნებზე აღტაცებაში მოიყვანა მოსკოვის ნორჩ პიონერთა გამოსვლის ახალმა, რიტმულმა და მკვირცხლმა დინამიკამ. მაღალი ფიზკულტურული ოსტატობით და განსაკუთრებით თავისი ტანვარჯიშობით გამოიჩინეს თავი სასპორტო სასწავლებლებმა — სტალინის სახ. ფიზიკური კულტურის ცენტრალურმა ინსტიტუტმა, ლენინგრადის ლესგაფტის სახ. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტმა და მოსკოვის ფიზკულტურის საოლქო ტექნიკუმმა. ამ გამოსვლებში იყო ბევრი გონივრული გამოგონება, ახალი სპორტული აზროვნება.

ყველაზე შესანიშნავი ამ პარადში იყო მოკავშირე რესპუბლიკების ფიზკულტურელთა დელეგაციების გამოსვლანი.

მსუბუქი მოელვარე ტანსაცმლით მოედანზე გამოდიოდნენ ყირგიზები და ყაზახები, სომხები და ბელორუსები, ქართველები და უკრაინელები. მოედანზე ჭიდაობდნენ ტაჯიკთა ფალავნები. თავის მხედრულ ცეკვას ასრულებდნენ ბელუჯები საბჭოთა თურქმენეთიდან, რთულ პირამიდებს აგებდნენ ქართველები და სწრაფი ტემპით ატარებდნენ ფიზკულტურულ ვარჯიშობას უზბეკები. აზერბეიჯანის სპორტსმენთა თავისუფალ ვარჯიშობას სცვლიდა მოქნილ სომეხ ქალთა ცეკვა, უკრაინელთა სიმღერებსა და ცეკვას — ყაზახთა ტანვარჯიშობა. მოედანზე აღიმართა არყისხის მომხიბლელი ჰალო, რომელიც აქ ბელორუსებმა ჩამოიტანეს, და ამ ჰალიდან გამოსრიალდებოდნენ ხოლმე „თვითმფრინავები" და „ტანკები".

ჩვენი სამშობლოს მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლები გვიჩვენებდნენ თავის დიდ სასპორტო წარმატებებს, გვიჩვენებდნენ, თუ რა მძლავრად სჩქეფს ამ რესპუბლიკების ფიზკულტურელთა ცხოვრება, თუ რა დიდია სსრ კავშირის ხალხთა ერთგულება კომუნიზმის დიადი საქმისათვის.

ახალგაზრდა ქალები აღმოსავლეთის რესპუბლიკებიდან, სადაც ჯერ კიდევ ცოტახნის წინათ მუსულმანური კანონი მოითხოვდა ჩაჩვანისა და ჩადრის ტარებას, ჭაბუკები ბელორუსიის სასაზღვრო რაიონებიდან,— ყველა ისინი — მხნენი, სიცოცხლით აღსავსენი, ღონიერნი — მოვიდნენ აქ მოედანზე, რათა აჩვენონ სსრ კავშირის ხალხთა ძმური კავშირის შეურყეველი სიმტკიცე, რომლებიც სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ იფურჩქნებიან.

ეს იყო საუცხოო, წარმტაცი სანახაობა. ჩვენი დედაქალაქის ისტორიულ მოედანზე, რომელსაც ბევრი რამ უნახავს, მოალერსე მზის სხივებით დაფარულ კრემლის ძველ კედლებთან ცეკვავდნენ და მღეროდნენ ჩვენი ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები.

ამ სიახალგაზრდავითა და სიმღერით აღსავსე დღეს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა აჩვენებდა თავის დიდ სასპორტო წარმატებებს, თავის გამოწრთობას, ვაჟკაცობას, მზადყოფნას ყოველ მომენტში გასცეს პასუხი მტერს, რომელიც გაბედავს ჩვენი ბედნიერების ხელყოფას. იგი გამოხატავდა თავის დაუშრეტელ სიძულვილს სამშობლოს გამცემლებისადმი, ჯაშუშებისა და დივერსანტებისადმი — ტროცკისტ-მემარჯვენე ბანდიტებისადმი —ფაშიზმის დაქირავებული აგენტებისადმი.

12 ივლისს ახალგაზრდობა ცხადჰყოფდა თავის უსაზღვრო ერთგულებას სამშობლოსადმი, პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი (საქდესი).

ამხ. მაისკის გამოსვლა ჩაურევლობის კომიტეტში

ლონდონი, 10 ივლისი (საქდესი). გამოვიდა რა 9 ივლისს ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის პლენარულ სხდომაზე, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამხ. მაისკიმ განაცხადა:

— საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ გენერალ ფრანკოსათვის მეომარი მხარის უფლებათა მინიჭების საკითხი უაღრესად რთულ და სახიფათო პრობლემას აყენებს დღის წესრიგში.

როცა შარშან აგვისტოში კომიტეტის ყველა წევრმა ხელი მოაწერა შეთანხმებას ჩაურევლობის შესახებ, საქმის ფაქტიური ვითარება ასეთი იყო: ერთი მხრივ იყო ესპანეთის კანონიერი მთავრობა, რომელიც ერთა ლიგის წევრია,—მთავრობა, რომელიც აღიარებულია ყველა სახელმწიფოს მიერ და სარგებლობს ყველა უფლებით საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად. მეორე მხრივ იყო მეამბოხე გენერალი ფრანკო, რომელიც საერთოდ მოკლებულია ყოველგვარ საერთაშორისო სტატუსს. აღნიშნული მდგომარეობის ბაზაზე ევროპის სახელმწიფოებმა 10 თვის წინათ იკისრეს ჩაურევლობის ვალდებულებანი. გენერალ ფრანკოსათვის ამჟამად მეომარი მხარის უფლებათა მინიჭება გამოიწვევდა მთელი იმ საძირკველის გარდაქმნას, რომელზეც აგებულია ჩაურევლობის სისტემა, ამასთან გარდაქმნას ისეთი მიმართულებით, რომელიც ცალმხრივად ხელსაყრელი იქნება მეამბოხეთათვის. ეს იქნებოდა ინტერვენციის სრულიად გაუმართლებელი აქტი, რომელიც ერთბაშად გამოაცლიდა ნიადაგს მთელ შეთანხმებას ჩაურევლობის შესახებ. საბჭოთა მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მხარი დაუჭიროს ასეთ აშკარა ცალმხრივ, მიკერძოებულ წინადადებებს.

მე ვიცი, რომ იტალია და გერმანია არა ერთხელ (მათ შორის ამ სხდომაზეც) ირწმუნებოდნენ თითქოს ისინი ხელს არ ჰყოფენ ესპანეთის ტერიტორიის მთლიანობას. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ ამ საჯარო დეკლარაციებმა ვერ დამარწმუნეს დასახელებულ სახელმწიფოთა ზრახვების გულწრფელობაში. მართლაც, შეიძლება იყოს დაპყრობის ორი ფორმა. ერთი ფორმა მდგომარეობს იმ ქვეყნის განსაზღვრული პროვინციების თუ ნაწილების ანექსიაში, რომელთანაც ომი სწარმოებს. მეორე ფორმა იმაში მდგომარეობს, რომ ბრძოლის ველზე დამარცხებულ ქვეყანაში იქმნება „მეგობრული მთავრობა", რომელიც ფაქტიურად იქცევა გამარჯვებული სახელმწიფოს უმწეო და მორჩილ აგენტად. ჩვენ გვინახავს ასეთი ექსპერიმენტები დედამიწის სხვადასხვა ნაწილში,—სულ ბოლო დროს შორეულ-აღმოსავლეთში—და მე მაქვს გარკვეული ეჭვი, რომ დაპყრობის სწორედ ასეთი კონცეპცია ყოველთვის ტრიალებს გერმანიისა და იტალიის გონების წინ, როცა საქმე ესპანეთს ეხება. ეს-ეს არის გამოთქმული აზრის საუცხოო დადასტურებაა შემდეგი სიტყვები არა სხვა ვინმესი, არამედ თვით ჰიტლერისა, რომელმაც 27 ივნისს ვიურცბურგში წარმოთქმულ სიტყვაში სთქვა: „გერმანიას ესაჭიროება რკინის მადნის იმპორტი. აი რატომ გვსურს ჩვენ, რომ ესპანეთში იყოს ნაციონალისტური (ე. ი. ფაშისტური) მთავრობა. მაშინ ჩვენ შევძლებთ ვიყიდოთ ესპანეთის მადანი". ეს განცხადება მეტისმეტად მჭერმეტყველურია. მაგრამ ნიშნავს ეს თუ არა, რომ გერმანიისა და იტალიის ესპანეთში აინტერესებთ მხოლოდ რკინის მადანი და სხვა ლითონები და მინერალები, რომელიც ამ ქვეყანაში ბლომად მოიპოვება? ხომ არა აქვთ მათ კიდევ რაიმე ანგარიშები და ზრახვები? ხომ არა აქვთ, მაგალითად, მისწრაფება გამოიყენონ ესპანეთის ტერიტორია მოხერხებული საჰაერო და საზღვაო ბაზების შესაქმნელად, რომელთაც შეეძლებათ უზრუნველჰყონ მათი ბატონობა ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან საზღვაო გზაზე და ზოგიერთ არანაკლებ მნიშვნელოვან სახმელეთო საზღვარზე? და მთელი პირენეის ნახევარი კუნძული თავისი უზარმაზარი ბუნებრივი რესურსებით ერთ უბედურ დღეს რომ აღმოჩნდეს იტალიისა და გერმანიის განკარგულებაში, განა ეს არ იქნებოდა ესპანეთის ნამდვილი დაპყრობა? იტალიური გაზეთი „რეჯიმე ფაშისტა" ტყუილად კი არ სწერს ესოდენ აღტაცებულ ტონით, რომ იტალიის „ლეგიონერებს" ესპანეთში შეაქვთ „თავიანთი კეთილშობილური წვლილი იტალიის იმპერიის პოლიტიკური აგების საქმეში".

მხოლოდ ყველა ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა ასპექტში ხდება სავსებით გასაგები გერმანია-იტალიის მოთხოვნის მნიშვნელობა, რომ გენერალ ფრანკოს მიენიჭოს მეომარი მხარის უფლებები.

ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი აქტი მკვეთრად შესცვლიდა ძალთა თანაფარდობას მეამბოხე გენერლის სასარგებლოდ. ამაოდ ცდილობდა გერმანიის წარმომადგენელი ქვეკომისიის უკანასკნელ სხდომაზე დაემტკიცებინა ჩვენთვის, რომ ესპანეთის რესპუბლიკური ფლოტი გენერალ ფრანკოს ფლოტზე უფრო ძლიერია. ფრანკოს რომ მეომარი მხარის უფლებები მიენიჭოს, მაშინ რესპუბლიკელთა ფლოტს დაუპირისპირდებოდა არა მარტო რამდენიმე მოძველებული გემი, რომელნიც მეამბოხეთა ხელშია, არამედ აგრეთვე მათი უცხოელ მოკავშირეთა სავსებით თანამედროვე საზღვაო ხომალდებიც. სულ ამ ცოტახნის წინათ ჩვენ გაზეთებში წავიკითხეთ, რომ ფრანკოს წყალქვეშა ნავებმა ესპანეთის წყლებში რამდენიმე ესპანური და არა-ესპანური გემი ჩასძირესო. მაგრამ ამასთან აი რა უცნაურობა მოხდა: ერთსა და იმავე დღეს ერთად-ერთმა წყალქვეშა ნავმა, რომელიც ოფიციალური ცნობების მიხედვით, მოეპოვება გენერალ ფრანკოს, თურმე შესძლო იერიში მიეტანა გემებზე ხმელთაშუა ზღვის ისეთ ერთმანეთისაგან დაშორებულ რაიონებში, როგორიცაა, მაგალითად, ბარსელონა და გიბრალტარის სრუტე. მართლაც განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ერთსადაიმავე მოძველებულ წყალქვეშა ნავს ასეთი შემძლებლობა და ყოველგანმყოფობა ჰქონდეს? მე არ მინდა ვინმეს ეჭვის ჩრდილი მივაყენო. მაგრამ, ვაფასებთ რა ახლანდელ სიტუაციას ესპანეთის წყლებში, ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ის ფაქტი, რომ არაიშვიათად რაღაც უცნაური, თითქმის „მისტიკური" მოვლენები ხდება. გენერალ ფრანკოსათვის მეომარი მხარის უფლებათა მინიჭებას კონკრეტულ შედეგად მოჰყვებოდა სანაპიროს სრული და ფაქტიური ბლოკადა. ამავე დროს ესპანეთის კანონიერი მთავრობა აღმოჩნდებოდა ისეთ მდგომარეობაში, რომ სრულიად ვერ შესძლებდა მოეწყო იმ რაიონების ანალოგიური ბლოკადა, რომლებიც მეამბოხეთა ხელშია. ამნაირად ესპანეთის რესპუბლიკა მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას მიეღო ზღვით თავისთვის საჭირო პროდუქტები და საომარი მასალა. პირიქით, გენერალ ფრანკოს ექნებოდა სრული შესაძლებლობა შემოეტანა თავისი მოკავშირეებისაგან ყოველივე ის, რაც მას ესაჭიროება. ხოლო რადგან გერმანია-იტალიის წინადადებებში ამავე დროს წამოყენებულია მოთხოვნა, რომ საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარი დახურული დარჩეს, საბოლოო ანგარიშით ესპანეთის რესპუბლიკა ყოველი მხრიდან მარწუხებში მომწყვდეული აღმოჩნდებოდა და დაიღუპებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ მას საჭირო სურსათი და საომარი მასალა არ ეყოფოდა. ასეთია ჭეშმარიტი აზრი იმ „კონსტრუქტული გეგმისა", რომელსაც ჩვენ გერმანია და იტალია გვთავაზობენ.

მხედველობაში ღებულობს რა ყველა ზემოჩამოთვლილ გარემოებას, საბჭოთა მთავრობა დაადგა ასეთ პირობებში ერთადერთ შესაძლო გადაწყვეტილებას: სავსებით უკუაგდოს გერმანია-იტალიის წინადადებანი, როგორც ისეთნი, რომელნიც ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამართალს და ცალმხრივად არღვევენ ძალთა თანაფარდობას გენერალ ფრანკოს სასარგებლოდ. ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობა ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ იგი მზად არის მხარი დაუჭიროს საზღვაო კონტროლის ინგლის-საფრანგეთის გეგმას, რომელიც გადმოგვცა კომიტეტის თავმჯდომარემ ქვეკომისიის 29 ივნისის სხდომაზე.

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს მიერ პარიზიდან და ლონდონიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

ცენტრალური ფრონტი

ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, რომ რესპუბლიკელთა ჯარების შეტევა მადრიდის დასავლეთით თანდათანობით ახდენს მეამბოხეთა დიდი ძალების იზოლაციას, რომლებიც გასული წლის ნოემბრიდან უტევენ დედაქალაქს. როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, რესპუბლიკელთა ჯარებმა უკვე გადასჭრეს მადრიდ-ტოლედოს გზა. თუ რესპუბლიკელთა ჯარები შესძლებენ მადრიდ - ტალავერის გზის გადაჭრას, სწერს კორესპონდენტი, მაშინ მადრიდთან მყოფი მეამბოხეთა ძალები დაჰკარგავენ კავშირს თავის მთავარ ბაზასთან.

აღმოსავლეთის (არაგონიის ფრონტი)

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, მეამბოხეებმა 11 ივლისს იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე სერო მონტეროსა და მონტარდის რაიონებში (მონტარდე მდებარეობს 27 კილომეტრზე ტერუელ-ალბარასინის გზატკეცილზე). მტრის მოწოლამ უმნიშვნელოდ შეასუსტა რესპუბლიკელთა პოზიციები სერო მორო-მონტარდის რაიონში. ამ ფრონტის დანარჩენ უბნებზე რესპუბლიკელები ინარჩუნებენ მათ მიერ ამასწინათ დაკავებულ პოზიციებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მეამბოხეებმა დიდი ზარალი ნახეს.

კონტროლის გაუქმება საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე

ლონდონი, 12 ივლისი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის ელჩმა ლონდონში კორბენმა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კომიტეტის თავმჯდომარეს პლიმუტს აცნობა, რომ საერთაშორისო კონტროლი საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე მოიხსნება 13 ივლისს შუადღისას.

პარიზი, 12 ივლისი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის ავტორიტეტულ წრეებში საფრანგეთ - ესპანეთის საზღვარზე საერთაშორისო კონტროლის მომავალ მოხსნასთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ ძალაში რჩება საფრანგეთის მთავრობის ვალდებულებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ჩაურევლობის შეთანხმებიდან.

მწერალთა მეორე საერთაშორისო კონგრესის დელეგატები გვადალახარის ფრონტზე

პარიზი, 10 ივლისი (საქდესი). 9 ივლისს მწერალთა მეორე საერთაშორისო კონგრესის დელეგატები იყვნენ გვადალახარის ფრონტზე. დელეგატები გაეცნენ იმ ბრძოლის ველებს, რომელიც გაჩაღდა მარტის დამლევს, როცა რესპუბლიკელთა არმიამ დაამარცხა იტალიის საექსპედიციო კორპუსი.

იდენის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 12 ივლისი (საქდესი). პასუხად თემთა პალატაში მიცემული შეკითხვისა, მოიწონებს თუ არა ინგლისის მთავრობა საფრანგეთის გადაწყვეტილებას საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე კონტროლის მოხსნის შესახებ,—იდენმა მოაგონა პლიმუტის განცხადება, რომელიც მან გააკეთა ჩაურევლობის კომიტეტის სხდომაზე, რომ ინგლისის მთავრობის თვალსაზრისით საფრანგეთის აქტი სწორია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რასაც ადგილი ჰქონდა პორტუგალიის საზღვარზე. რამდენადაც, აღნიშნა იდენმა, პორტუგალიის მთავრობამ დროებით შესწყვიტა კონტროლი თავის საზღვარზე, ვფიქრობ, საფრანგეთს უფლება აქვს ასეთივე ღონისძიებანი გამოიყენოს.

◇ ◇ ◇

მოსკოვში ჩავიდა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი

მოსკოვი, 12 ივლისი (საქდესი). 12 ივლისს მოსკოვში ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი და თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალური მდივანი ბ-ნი შუქრუ კაია.

მასთან ერთად ჩამოვიდნენ თურქეთის დიდი ეროვნული კრების დეპუტატები ბ-ნი რახმი აპაკი, დოქტორი შუქრუ შენ ოზანი და სხვ.

იმავდროულად მოსკოვში ჩამოვიდა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ამხ. მ. ა. კარსკი.

მინისტრს სადგურზე შეხვდნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი სახელმწიფო უშიშროების კომისარი ამხ. ნ. ი. ეჟოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ბ. ს. სტომონიაკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აღმოსავლეთის 1 განყოფილების გამგის მოვალეობის ამსრულებელი ამხ. ა. ფ. ზასლავსკი, ქ. მოსკოვის კომენდანტის მოვალეობის ამსრულებელი მაიორი ამხ. ფ. ი. სუვოროვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები და თურქეთის საელჩოს მთელი შემადგენლობა.

სადგური მორთული იყო თურქეთისა და საბჭოთა დროშებით.

○

გუშინ დილით ბ. შუქრუ კაია და მისი თანმხლები პირები დაესწრნენ ფიზკულტურულ პარადს წითელ მოედანზე.

ჩრდილოეთ-ჩინეთის ამბები

ჩინეთის სამხედრო ხელისუფალთა გაბედული პოზიცია

ბეიპინი, 10 ივლისი (საქდესი). ჩინეთის ნახევრად ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ „კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრა ლიუკოუძიაოში მიღწეულია სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ყოველგვარი განსაკუთრებული პირობისა ან წერილობითი დოკუმენტის გარეშე". ჩინური გაზეთების ცნობით იაპონიის ჯარებმა, მიუხედავად ამისა, დასტოვეს მხოლოდ ის სანგრები, რომლებიც წყლით აივსო წვიმების შედეგად. იაპონიის არტილერიისა და კავალერიის ნაწილმა უკან დაიხია პუნქტში, რომელიც ბეიპინიდან 6 კილომეტრითაა დაშორებული. იაპონიის ქვეითა ნაწილები თავმოყრილია ლიუკოუზძიაოს სადგურის რაიონში, სადაც იმყოფება იაპონიის ჯარების შტაბი.

ბეიპინის ჩინელი სამხედრო ხელისუფალნი წინანდელ პოზიციას ადგანან. უმაღლესი სამხედრო ხელისუფლება ბეიპინში და მთელს ტერიტორიაზე, რომელიც ხებეი-ჩახარის პოლიტიკურ საბჭოს ექვემდებარება, ფინ ძი-ხანის ხელშია, რომელიც ასრულებს აგრეთვე მე-29 არმიის სარდლის მოვალეობას სუნ ჯე-იუანის არყოფნის დროს (ფინ ძი-ხანი არის აგრეთვე მე-37 დივიზიის მეთაური, რომლის ნაწილები მონაწილეობას იღებდნენ იაპონიის ჯარებთან უკანასკნელ ბრძოლაში ლიუკოუძიაოსთან). ჩინეთის გაზეთები იუწყებიან იაპონიის ჯარების მნიშვნელოვან გადაჯგუფებას და მათი ძალების ფინკაის სადგურთან თავმოყრას.

მხოლოდ ახლა გამოირკვა, რომ პირველ იერიშში იუკოუძიაოსთან მონაწილეობას იღებდნენ 600 იაპონელი ჯარისკაცი და სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი 100 ბანდიტი. იაპონელები არ ზოგავდნენ საარტილერიო ყუმბარებს და, როგორც სჩანს, იმედი ჰქონდათ, რომ სწრაფი დარტყმით მიაღწევდნენ მიზანს. წააწყდნენ რა ენერგიულ წინააღმდეგობას, იაპონიის ნაწილებმა მოითხოვეს დამხმარე ძალები, რომელნიც მოვიდნენ 9 ივლისს საღამოთი სულ ცოტა 500 კაცის შემადგენლობით.

ბეიპინის მოსახლეობა აღტაცებას გამოსთქვამს მე-37 დივიზიის ჯარისკაცთა ენერგიული მოქმედებით, რომლებსაც მხოლოდ შაშხანები და ტყვიამფრქვევები ჰქონდათ, მაგრამ იგერიებდნენ სწრაფმსროლელი არტილერიით, ტანკებით და ჯავშნიანი მანქანებით შეიარაღებულ იაპონელთა ჯარების იერიშებს.

გაზეთი „შიძეჯიბაო" ამასთან დაკავშირებით აცხადებს: „სამუდამოდ წავიდა ის დრო, როცა იაპონიის არმიას ერთ საღამოს შეეძლო რამდენიმე ათეული ქალაქის ხელში ჩაგდება ისე, რომ ერთ წვეთს სისხლსაც არ დაღვრიდა. ჩინეთის ჯარების მტკიცე პოზიცია მოწმობს, რომ მტერს უბრძოლველად ერთ მტკაველ მიწასაც არ დაუთმობენ".

სიჩუანის და სიკანის პროვინციების წარმომადგენელთა სამხედრო კონფერენცია

შანხაი, 10 ივლისი (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ 9 ივლისს, ნანკინის სამხედრო მინისტრის ხო ინ-ძინის მოხსენების შემდეგ ჩრდილოეთ ჩინეთის ამბების შესახებ, დაიხურა სიჩუანის და სიკანის პროვინციების წარმომადგენელთა სამხედრო კონფერენცია, რომელიც ქალაქ ჩუნცინში მიმდინარეობდა. კონფერენციამ ერთსულოვნად მოიწონა სიჩუანის არმიის რეორგანიზაციის გეგმა. კონფერენციის მონაწილეებმა მე-29 არმიას გაუგზავნეს დეპეშა, რომელიც მიესალმება ამ არმიის ჯარისკაცთა ბრძოლას ლიუკოუძიაოს დასაცავად.

იაპონიის ჯარის ახალი შეტევა ლუკოუძიაოზე

ბეიპინი, 11 ივლისი (საქდესი). ავტორიტეტული ჩინური წყაროებიდან იუწყებიან, რომ იაპონელებმა 10 ივლისს დაარღვიეს შეთანხმება დროებითი ზავის შესახებ, და იაპონიის ჯარმა კვლავ შეუტია ლუკოუძიაოს. იაპონიის ჯარმა შეტევა დაიწყო აგრეთვე მთელ რიგ პუნქტებზე მთელ რაიონში ბეიპინის სამხრეთით. იაპონელთა შეტევის დაწყების შემდეგ ჩინეთის ჯარი სასწრაფოდ დაბრუნდა ლუკოუძიაოში და იგერიებს იაპონელთა შემოტევას. იაპონელებმა ასტეხეს გრიგალისებური საარტილერიო სროლა დაახლოვებით, 30 ქვემეხით. იაპონელების მხრით საომარ მოქმედებაში მონაწილეობას ღებულობს 2.500-მდე ჯარისკაცი, რომელთაგან 1.500 იმყოფება უშუალოდ ცეცხლის ხაზზე. შანხაი-გუანი გაიარა და ტიანძინისაკენ გაემართა 5-ზე მეტი მატარებელი იაპონიის ჯარებით. დღეს მოელიან კიდევ 5 მატარებელს. ჩინური ცნობებით, იაპონიის ჯარების გადაჯგუფება ხდება ჩინეთის დიდი კედლის მთელ რაიონშიც.

ჩანკაი-შის ბრძანება

ტოკიო, 11 ივლისი (საქდესი). იაპონიის პრესა ჩინეთიდან მიღებულ ცნობებში იუწყება, რომ ჩანკაი-შიმ მობილიზაცია უყო ჩინეთის ჯარების ოთხ დივიზიას ჩრდილოეთისაკენ გასაგზავნად, აგრეთვე უბრძანა ნანკინის არმიის მთელ საჰაერო ძალებს მზად იყვნენ მე-29 არმიისათვის დახმარების გასაწევად.

იაპონელთა ჯაშუშების სიკვდილით დასჯა

შანხაი, 10 ივლისი (საქდესი). გაზეთ „დაგუნბაოს" ცნობით, 9 ივლისს ხანჯოუში (ჩეძიანის პროვინცია) იაპონელებისათვის სამხედრო ცნობების გადაცემის გამო სიკვდილით დასაჯეს იაპონელთა სამი ჯაშუში, რომლებიც ნანკინის ჯარების 157 დივიზიაში მსახურობდნენ.

◇ ◇ ◇

გაიხსნა საფრანგეთის კომკავშირის ყრილობა

პარიზი, 12 ივლისი (საქდესი). დღეს პარიზში გაიხსნა საფრანგეთის კომკავშირის მე-9 ყრილობა.

საფრანგეთის კომპარტიის სახელით ყრილობას მიესალმა ჟაკ დიუკლო.

შემდეგ მოხსენებით კომკავშირის მუშაობის შესახებ გამოვიდა რაიმონ გიუო.

სუსტად ვეუფლებით ბოლშევიზმს

გ. ურჯუმელაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის
კულტპროპგანყოფილების გამგე

ბოლშევიზმის დაუფლება უაღრესად სერიოზული და გადაუდებელი ამოცანაა ჩვენს პარტიულ მუშაობაში, ეს არის ჩვენი პარტიული მუშაობის სული და გული.

ამ მიმართულებით გორის რაიონის პარტორგანიზაციებში გაშლილია მუშაობა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ბოლშევიზმის დაუფლებისათვის ბრძოლა გორის რაიონში დამაკმაყოფილებელი იყოს.

თვითკრიტიკის წესით უნდა აღინიშნოს, რომ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, ამხანაგ სტალინის ისტორიული მითითებებიდან და საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გორის რაიონულ და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ბოლშევიზმის დაუფლებისათვის ჯერ კიდევ ვერ გაუკეთებიათ სათანადო დასკვნები, ვერ მოუხდენიათ შემობრუნება პარტიულ-პოლიტიკური, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისაკენ.

ბევრი პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელები კვლავ გატაცებული არიან სამეურნეო საკითხებით და მივიწყებული აქვთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ამიტომაც პარტიული სწავლება ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ზელდულეთის პირველადს პარტორგანიზაციასთან არსებული პარტიის წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი საკანდიდატო სკოლის მეცადინეობა ივნისამდე ჩაშლილი იყო პროპაგანდისტის უყოლობის გამო. ასევე ჩაიშალა ტირძნისის ტერიტორიულ პირველადს პარტორგანიზაციასთან არსებული პარტგანათლების წრის მუშაობაც. ხშირად პროპაგანდისტები უპასუხისმგებლოდ, წვრილმანი დაბრკოლებების გამო ჩაშლიან ხოლმე მეცადინეობას და შემდეგ თავს იმართლებენ „ცუდი ამინდებით, გზების დაზიანებით, და ტრანსპორტის უქონლობით".

ცუდი პროპაგანდისტის მაგალითს ბაძავს ზოგიერთი მსმენელიც. ისინიც უპასუხისმგებლობას იჩენენ და ხშირად აცდენენ მეცადინეობას, არ მუშაობენ თავიანთ თავზე, არ კითხულობენ მითითებულ ლიტერატურას და ჟურნალ-გაზეთებს, არ ადგენენ კონსპექტებს და არ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას მეცადინეობის დროს საკითხების გარკვევაში.

რ. გუზიტაშვილი (ახალუბანი), ვ. მარლიშვილი (მექვაბიანთ უბანი), ი. რუსიშვილი, ალ. ფალულაშვილი და გამხუაშვილი (ბერბუკი), ამბარდანოვი, (ნადარბაზევი), ბაგრატ სურამელი, თ. ქებაძე, შ. ზერეკიძე (ტირძნისი) და სხვ. სისტემატურად აცდენენ მეცადინეობას, არ ზრუნავენ თავიანთი იდეური დონის ამაღლებისათვის.

ასევე გაურბიან მეცადინეობას პროპსკოლის მსმენელები პ. ჩახავა, ი. აბრამიშვილი და ვ. ელიავა. მიუხედავად იმისა, რომ რაიკომის ბიუროს დადგენილებით ისინი რამდენჯერმე იქნენ გაფრთხილებულნი, მაინც არ დაიარებიან მეცადინეობაზე. ჯერ კიდევ გასულ წელს პ. ჩახავა ითვლებოდა პოლიტსკოლის პროპაგანდისტად გარეჯვარში, მაგრამ იგი ამ სკოლის მეცადინეობას სისტემატურად შლიდა, სამი თვის განმავლობაში ერთხელაც არ ჩაუტარებია მეცადინეობა, ხოლო როცა ჩაატარა, ისიც მოუმზადებლად და უხარისხოდ. რაიკომის ბიურომ, პარტიული სწავლებისადმი ასეთი ოპორტუნისტული და უსულგულო დამოკიდებულებისათვის იგი მოხსნა პროპაგანდისტული მუშაობიდან და გამოუცხადა სასტიკი საყვედური. ეს არაფრად ჩააგდო ჩახავამ. მან აშკარად ქედმაღლურად განაცხადა: „ხომ იცით, არ მცალია პარტსკოლაში სასიარულოდ, რატომ გინდათ, რომ მაიძულოთ და დრო დამაკარგვინოთო". ჩახავა დიდი წარმოდგენისაა თავის თავზე. ამიტომ თავის იდეურ-პოლიტიკური ცოდნის ამაღლებისათვის სკოლაში სიარულს ზედმეტად სთვლის. ნამდვილად კი მას პოლიტიკის ელემენტარულ საკითხებშიაც უჭირს გარკვევა.

ასევე უნდა ითქვას ისაკ აბრამიშვილზე (გორის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე), რომელიც პირველ ხანებში, მართალია, დაიარებოდა მეცადინეობაზე, მაგრამ სრულიად არ იწუხებდა თავს მეცადინეობით. არ ამუშავებდა მითითებულ ლიტერატურას, მიცემულ შეკითხვებზე ყოველთვის „არ ვიცით" უპასუხებდა ხოლმე. ამ უკანასკნელად კი მან სკოლაში სიარულსაც მიანება თავი. ისიც ჩახავას მსგავსად გაიძახის: „პოლიტმეცადინეობისათვის დრო არა მაქვსო".

უნდა აღინიშნოს, რომ რაიპარტაქტივის სემინარი და პროპსემინარები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, მათი მუშაობა ვერ უზრუნველჰყოფს პროპაგანდისტებისა და რაიაქტივის იდეურ-პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლებას. პროპაგანდისტები: ყორანაშვილი, გვერდწითელი, ალბორიშვილი და ტარიელაშვილი ხშირად აცდენენ პროპსემინარებს და სემინარების გარეშე ატარებენ მეცადინეობას პარტგანათლების წრეებში, რაც ყოვლად დაუშვებელია.

პარტრაიკომთან არსებული პარტკაბინეტი, პარტიული პროპაგანდის, ბოლშევიზმის დაუფლებისა და აგიტაციის წარმოება-გაშლის საქმეს სუსტად ხელმძღვანელობს. იგი კომუნისტებს საკმაო მომსახურებას ვერ უწევს. სუსტია მეთოდური ინსტრუქტაჟი და ლიტერატურის მიწოდება. პარტკაბინეტს გაფანტული და გაბნეული აქვს წიგნები. საჭირო და საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი გაცემულია კერძო პირებზე. პარტკაბინეტს უკანასკნელ დრომდე არ მოეპოვებოდა კლასიკოსების — მარქს - ენგელს-ლენინ-სტალინის ნაწარმოებთა მინიმუმიც კი.

პარტკაბინეტის მუშაობის საკითხი რაიკომის ბიურომ განიხილა და დასახა მთელი რიგი ღონისძიებები მისი შემდგომი მუშაობის გარდასაქმნელად, მაგრამ ღონისძიებანი ქაღალდზე დარჩა. პარტკაბინეტის გამგემ ამხ. მარო ლეჟავამ დღემდე ვერ გამოიტანა საჭირო დასკვნა და ვერ გარდაქმნა პარტკაბინეტის მუშაობა ბოლშევიზმის დაუფლების ამოცანებთან შეფარდებით. აქ დანაშაული მიუძღვის რაიკომსაც, რომელიც მხოლოდ ღონისძიებათა გამოტანით დაკმაყოფილდა და არ დაინტერესდა მათი ცხოვრებაში გატარებით.

დროა, რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ ფაქტებიდან სათანადო დასკვნები გამოიყვანონ. ნამდვილად იბრუნონ პირი იდეურ-პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობისაკენ, ბოლშევიზმის დაუფლებისაკენ, ბოლშევიზმის დაუფლება დააყენონ პარტიული მუშაობის ყურადღების ცენტრში.

აბრეშუმის პარკის გამოკრეფა ზუგდიდის რაიონის სოფ. აბასთუმანში.
სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ — კოლმეურნე ქალები მარო ფარცვანია და ჟუჟუნა ფარცვანია აბრეშუმის პარკის გამოკრეფაზე.
ფოტო დავიდოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

საწარმოო პრაქტიკა—მოწოდების სიმაღლეზე!

(მიწსახკომის საყურადღებოდ)

პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მესაქონლეობის განვითარებას. ყველა იმ გრანდიოზულ ამოცანათა შესასრულებლად, რომელნიც მესაქონლეობის წინაშეა დასახული, საჭიროა ტექნიკას კარგად დაუფლებული კადრები. ამ მხრივ დიდი პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული საქართველოს ზოოვეტინსტიტუტს.

მიუხედავად ინსტიტუტის თვალსაჩინო მიღწევებისა, კადრების მომზადება იქ მაინც არ არის იმ სიმაღლეზე დაყენებული, რასაც საბჭოთა ზოოტექნიკა და სოციალისტური მესაქონლეობის რეკონსტრუქცია მოითხოვს. ეს ჩამორჩენა უმთავრესად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სასწავლო პრაქტიკა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზოოტექნიკოსთა მომზადებაში, დღემდე არ არის მოწესრიგებული. სტუდენტთა თეორიული მეცადინეობა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სასწავლო პრაქტიკასთან. ინსტიტუტში რატომღაც ეს წესი უგულებელყოფილია. სტუდენტს უკითხავენ ლექციებს და როგორც კი კურსის წაკითხვას დაამთავრებენ, ასტყდება ფაცი-ფუცი სტუდენტების პრაქტიკაზე გასაგზავნად.

სტუდენტების უმრავლესობა ცდილობს ახლო მეურნეობაში მოეწყოს გაურბის თბილისის რაიონის გარეთ წასვლას (ახალქალაქი, ბაშკიჩეთი და სხვ.). თბილისის მახლობელ მეურნეობაში სტუდენტები პრაქტიკას ზერელედ გადიან. ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს ამ მეურნეობებში მხოლოდ 2-3 დღით მიავლენენ ხოლმე. მეტ წილად საწარმოო პრაქტიკის უმნიშვნელოვანეს დროს სტუდენტები ბოსლების დასუფთავებას ანდომებენ, რადგან მათთვის ხელმძღვანელობის გასაწევად მეურნეობის სპეციალისტებს არა სცალიათ. ინსტიტუტმა მტკიცედ უნდა დანერგოს ისეთი წესი, რომ სტუდენტს საშუალება ჰქონდეს ლექციის მოსმენასთან ერთად სასწავლო პრაქტიკა გაიაროს (სხვადასხვა ჯიშების გაცნობა, ბოსლების მოწყობა, კვება და სხვ.).

ნუთუ ბევრი მტკიცებაა საჭირო, რომ წასაკითხი საგნის ობიექტი — ცოცხალი ცხოველი თვალწინ უნდა ჰყავდეთ სტუდენტობას და ლექტორებს. ლექციების წაკითხვა უნდა ხდებოდეს თვალებთან მოწყობილ აუდიტორიაში. ბევრ მეცნიერ მუშაკს საამისო საშუალება მოეპოვება. მხედველობაში გვყავს ის პირნი, რომლებიც საქართველოს მესაქონლეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შეთავსებით მუშაობენ. ეს ინსტიტუტი შესანიშნავად არის მოწყობილი სასწავლო პრაქტიკისათვის და მდებარეობს იქვე ზოოვეტინსტიტუტთან, მაგრამ დღემდე გამოუყენებელია ამ საქმისათვის.

თბილისში გაწეული თეორიულპრაქტიკული მუშაობა მომავალი საწარმოო პრაქტიკის საფუძველია. მესაქონლეობის კვლევითი ინსტიტუტი ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ამ მხრივ (პრაქტიკული მეცადინეობა ბოსლებში). უეჭველია სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ფართოდ შეუწყობს ხელს ამ საქმეს. მით უფრო, რომ საკითხი ეხება მესაქონლეობის კადრების მომზადებას. ეს გარემოება სრულიადაც არ შეუშლის ხელს კვლევით მუშაობას, რადგან დირექტორების გარდა მეტი წილი დოცენტები შეთავსებით ორივე ინსტიტუტში მუშაობენ.

კადრების სათანადოდ მოსამზადებლად საჭიროა ზოოვეტინსტიტუტს ჰქონდეს ახლო მდებარე სასწავლო მეურნეობა, სადაც ლექციებთან ერთად ყველა საჭირო ჯიშები მცირე რაოდენობით იქნება თავმოყრილი. მოსწავლემ ლექციების კითხვის დროს უნდა გაიცნოს როგორც სუფთა ჯიშები, ისე მეტისები.

მხოლოდ და მხოლოდ კარგ სასწავლო მეურნეობას შეუძლია შეავსოს ის ნაკლი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და ჩვენ ქვეყანას მივცეთ გამოცდილი მესაქონლეები, რომლებიც ღირსეულად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ საპატიო მოვალეობას.

ვფიქრობ, მიწსახკომი ამ საქმეს სათანადო ყურადღებას მიაქცევს.

ალ. კვალიაშვილი

◆ ◆ ◆

ევკალიპტებს ცუდად უვლიან

(ფოთი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ფოთში ევკალიპტის გაშენებას ხელი მოჰკიდეს 5 წლის წინათ, მაგრამ 1936 წლამდე მის განვითარებას ყურადღება არ ექცეოდა.

1936 წელს ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ფოთის რაიონში ევკალიპტის განვითარებას.

შარშან მოცემული გეგმის თანახმად უნდა დარგულიყო 75.000 ძირი ევკალიპტი. ფოთის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გაუშვეს მხედველობიდან ის, რომ ეს კულტურა ფოთის მშრომელებისათვის უცნობია და აუცილებელი იყო მოსახლეობისათვის მისი მოვლის აგროწესების შესწავლა. მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა იმაზე, რომ დარგვის გეგმა როგორმე რაოდენობრივად გადაჭარბებით შეესრულებინათ და 75.000 ძირის ნაცვლად კიდევაც დაირგო 400.000 ძირი. მოვლა-პატრონობაზე კი არავის უზრუნვია, რის შედეგად შარშან დარგული ევკალიპტებიდან განადგურებულია 50 პროცენტზე მეტი.

სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ საწარმოო - დაწესებულებათა ხელმძღვანელნი ევკალიპტის მოვლა-პატრონობაში. ნავსადგურის სამმართველომ თავის ტერიტორიაზე დარგო 30.000 ძირი. აქედან განადგურებულია 70 პროცენტზე მეტი. ასეთსავე მდგომარეობაშია ქუჩებში დარგული ევკალიპტები ყულევის კოლმეურნეობაში, პედსასწავლებლის ეზოში, მონკავშირის მეურნეობაში და სხვ.

ქალაქის საბჭომ გამოიტანა დადგენილება ქუჩებში პირუტყვის ხეტიალის აკრძალვის შესახებ. მილიციის ორგანოები თვალყურს არ ადევნებენ ამ დადგენილების შესრულებას და პირუტყვი ანადგურებს ევკალიპტს. დარგვისას დაცული არ იყო აგროღონისძიებები.

წელს ევკალიპტის დარგვა მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს, უნდა დაირგოს 400.000 ძირი, დღემდე დარგულია მხოლოდ 180.200 ძირი. ევკალიპტის დარგვასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისი მოვლა-პატრონობის საქმეს. ფოთში ეს ჭეშმარიტება დღემდე არაა შეგნებული.

გრ. გოლქვაძე

მოსამართლეთა ანგარიშგება აჭარაში

(ბათუმი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

მთავნავთის ბათუმის განყოფილების მუშებთან მოსამართლეთა ანგარიშგებამ გაშლილი თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. კრებაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ბათუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. თავბერიძე. მან მუშებს გააცნო სასამართლოს მუშაობა და ის ახალი ამოცანები, რომლებსაც უყენებს სტალინური კონსტიტუცია მოსამართლეებს, გამომძიებლებს და სახალხო სასამართლოს ყველა მუშაკს.

მოხსენების დამთავრების შემდეგ ამხ. თავბერიძემ პასუხი გასცა მუშათა უამრავ შეკითხვას.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს მთელი რიგი დეფექტების შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვს ბათუმის სასამართლოს მუშაობაში. მაგალითად, სახ. სასამართლო ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას ფაბრიკა-ქარხნებთან და დაწესებულებებთან არსებულ საწარმოო-საამხანაგო სასამართლოებს.

სასამართლოს აღმასრულებელთა დაუდევრობით სასამართლოს განაჩენები და გადაწყვეტილებანი ხშირად მთელი თვეების განმავლობაში შეუსრულებელი რჩება. მშრომელთ ამ საქმეზე უხდებათ პროკურატურაში სიარული და ზედმეტი სამუშაო საათებისა და დღეების გაცდენა.

კამათში გამოსულმა მუშებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ სასამართლოს სხდომები დაგვიანებით იწყება. ხშირად ეს გამოწვეულია პროკურორის გამოუცხადებლობით. არის შემთხვევა, როცა მოსამართლე ტელეფონით გამოუძახებს ხოლმე პროკურორს, მაგრამ ის არსად ჩანს. ამიტომ არის, რომ ხშირად მოსამართლე იძულებულია უპროკუროროდ გაარჩიოს საქმე და ისიც დიდი დაგვიანებით.

სასამართლოში — გამოძახებულთა უწყებებს დაგვიანებით აბარებენ. უწყებები გაურკვევლად იწერება: არეულია გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა, ხშირად მისამართიც.

მოკამათეებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მოსამართლეები მეტად აგვიანებენ განაჩენის გადაბეჭდვას და ამიტომ მშრომელთ მთელი კვირაობით უხდებათ მოცდა უკვე გამოტანილი განაჩენის მისაღებად.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოსამართლე და პროკურორი არ იცნობენ საქმეს და მას ზერელედ არჩევენ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა კრებაზე წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი სასამართლო ორგანოების მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

○

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა მოსამართლის ანგარიშგებამ, აგრეთვე აჭარის სარეწაო კოოპერაციის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე. აქ აღინიშნა მშრომელთა საჩივრების უგულებელყოფა, განაჩენების დაგვიანების შემთხვევები და სხვ. ამ კრებაზე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა: ვეჟეყმაძემ, შარაშენიძემ, გაბელიამ და სხვებმა ილაპარაკეს იმ ტროცკისტ მავნებლების შესახებ, რომლებიც შეპარული იყვნენ სასამართლო ორგანოებში (ბოლქვაძე, სვანიძე) და მავნებლურ მუშაობას ეწეოდნენ. აგრეთვე ილაპარაკეს ტროცკისტ-მავნებლებზე აჭარის სასამართლოს ორგანოებში (თ. საჯაია და გურგენიძე).

მოსამართლეთა ანგარიშგება ქალაქის ორგანიზაციებში უკვე დასრულდა, ხოლო რაიონებში კი გრძელდება.

შ. ფურცხვანიძე.

◆ ◆ ◆

სესხის რეალიზაცია რაიონებში

გორი, 13 ივლისი. (ტელეგრაფით). 13 ივლისისათვის გორის რაიონში „თავდაცვის განმტკიცების სესხზე" ხელისმომწერთა რიცხვმა 16.000 მშრომელს მიაღწია. რაიონში გავრცელებულია 1.025.000 მანეთის სესხი; აქედან მუშა-მოსამსახურეთა შორის გავრცელებულია 646.500 მანეთისა, შეუკავშირებელ მოსახლეობაში — 33935 მანეთისა, კოლმეურნეობებში — 32.195 მანეთისა და ერთპიროვნულ მეურნეობებში —23370 მანეთის სესხი.

სესხზე ხელისმოწერა გრძელდება.

კობიძე

○

ტყიბული, 13 ივლისი. (ჩვენი საკ. კორ.) რაიონში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ახალ სესხზე ხელისმოწერა. 13 ივლისისათვის ხელმოწერის თანხამ 135.331 მანეთს მიაღწია.

ივ. ხუხუა

ჩაის ფოთლის კრეფა

მიწსახკომის 10 ივლისის ცნობებით

რაიონები	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
მახარაძე	1.901.786	368.228.	40	22,4
ჩოხატაური	312.518	59.909	48,4	27,1
ლანჩხუთი	1.014.674	156.105	41,2	20,1
სამტრედია	61.729	6.288	51,4	20,8
წულუკიძე	95.890	15.877	48	27,3
ქუთაისი	28.236	3.990	58	38
ტყიბული	88.157	4.505	49	9,2
ცხაკაია	266.766	42.181	45,2	22
გეგეჭკორი	386.620	55.861	49	24,4
ზუგდიდი	666.857	119.574	40,4	28,5
წალენჯიხა	239.575	37.015	38,6	19
ჩხოროწყუ	190.222	24.677	40,5	17,7
ხობი	79.740	12.105	46,9	22
აჭარის ასსრ	1.528.341	259.471	42,3	21,5
აქედან ბათუმის რ.	235.754	32.317	44,4	21,8
„ ქობულეთის რ.	1.183288	210.803.	41,5	21,2
„ აჭარის საბჭ. მ. ტრესტი	109.299	16.351	47,5	26,4
აფხაზეთის ასსრ	792.063	99.116	43,7	17,7
აქედან გალის რ.	553.434	66.525	47,7	19,3
„ ოჩამჩირის რ.	238.629	32.591	36,7	15,2
სულ	7.648.174	1.260.807	42	21,5

იაპონიის დაზვერვის ძირგამომთხრელი მუშაობა*

იაპონიის დაზვერვა, რომელიც იაპონიის იმპერიალიზმის სამხედრო აპარატის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს იმ მიმართულებებით, საითკენაც პირველ რიგში გამიზნულია იაპონიის აგრესია. ჩინეთი მუდამ სავსე იყო იაპონელი ჯაშუშებით. მონღოლეთზე „სპეციალდებოდნენ" ყველაზე თვალსაჩინო იაპონელი მზვერავები.

სსრ კავშირს იაპონიის დაზვერვა უკვე დიდიხანია განიხილავს როგორც ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტს თავისი ძირგამომთხრელი მუშაობისას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩინეთში იაპონიის დაზვერვის ორგანოები არაჩვეულებრივად განშტოებულია და ყველანი ერთად ჰქმნიან უზარმაზარ, მეტისმეტად მძლავრ ორგანიზაციას. იაპონელებმა მოაწყეს ფართო ჯაშუშური ქსელი ჩინეთის თვითეულ პროვინციაში, ყველა საზოგადოებრივ ფენაში. შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ იაპონელი ჯაშუშები ჩინეთში—მოსული ელემენტია და ისინი თვითონ ეროვნებით იაპონელები არიან. ჯაშუშების უმრავლესობას იაპონელები ჰკრებენ ჩინელი საზოგადოების ნაძირალებიდან, დემორალიზებული და ფეოდალური სამხედრო წრეებიდან, ანგარებისმოყვარე კომპრადორული ვაჭრებიდან, ტროცკისტებიდან და თეთრგვარდიელებიდან. ამ ჯაშუშებს ხელმძღვანელობენ იაპონიის სამხედრო მისიები, ატაშეები, საკონსულოები, რომლებიც გაბნეულია ჩინეთის მთელ ტერიტორიაზე. ჩინეთში იაპონიის დაზვერვის საზიზღარი მუშაობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს აქტიური პროვოკატორული ბრძოლა ჩინელი ხალხის წინააღმდეგ.

მრავალი წლის მანძილზე, სარგებლობს რა ჩინეთის ფეოდალური დაქუცმაცებითა და ჩინელ მილიტარისტთა ანგარებისმოყვარებით, იაპონიის იმპერიალიზმი შედარებით მცირე შეიარაღებული რაზმების შემწეობით სძარცვავს და აწიოკებს ჩინელ ხალხს. ეს უმთავრესად ხერხდება იაპონიის დაზვერვის ინტენსიური პროვოკაციული მუშაობის შედეგად.

სცდილობს რა თავისი მოწინააღმდეგის გახრწნას, იაპონიის დაზვერვა ჩინეთში არ სჯერდება ცალკე მოღალატე გენერლების მოსყიდვას და იმ აგენტურის გადაბირებას, რომელსაც თავი იაპონელებისათვის მიუყიდნია. იაპონიის დაზვერვა სცდილობს თავიდან აიცილოს ჩინელთა ჩამოყალიბებული და მტკიცე ნაციონალური გაერთიანებების შექმნა. ამ მიზნით იაპონიის დაზვერვა აწყობს ჩინეთში პოლიტიკურ და სამხედრო გამოსვლებს ყოველივე ცენტრის წინააღმდეგ, რომელსაც, მისი აზრით, შემდეგში შეეძლებოდა გამხდარიყო ნაციონალურ ძალთა შემკრები წერტილი. საკმარისია გამოჩნდეს ჩინეთში ისეთი მთავრობა (თუნდაც პროვინციული) ან ისეთი დაჯგუფება, რომლის შესახებაც იაპონელებს ეჩვენებათ, რომ მას შესწევს უნარი რამდენადმე მოაწყოს იაპონელ ინტერვენტთა ნაციონალური მოგერიება,— იაპონიის დაზვერვა დაუყოვნებლივ აწყობს გამოსვლას ამ დაჯგუფების წინააღმდეგ. ეს გამოსვლა ტარდება ან უშუალოდ იაპონელ აგენტთა მიერ ან ამ აგენტების მიერ პროვოკაციის ანკესზე წამოგებული ორგანიზაციებისა და პირების შემწეობით.

რაც შეეხება ჩინეთის ცენტრალურ მთავრობას, იაპონელები მიმართავენ სპეციალურ ღონისძიებებს, რათა ყველა საშუალებით გააღრმავონ პროვინციული მთავრობების სეპარატისტული ტენდენციები (უმთავრესად ჩრდილოეთით და სამხრეთ-დასავლეთით). იაპონიის დაზვერვა სცდილობს გააჩაღოს შეიარაღებული ბრძოლა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის.

თუ ეს რატომღაც არ ხერხდება, იაპონიის აგენტურა სცდილობს შიგნიდან გამოუთხაროს ძირი ჩინეთის ცენტრალური მთავრობის ძალასა და ავტორიტეტს. იგი სპეკულაციას ეწევა მთავრობაში არსებულ უთანხმოებებსა ან პერსონალურ გავლენებზე, ოსტატურად უსისიანებს ერთ გენერალს მეორეს, აღვივებს პატივმოყვარე ზრახვებს, შუბლით აჯახებს ერთიმეორეს შესაძლო მეტოქეებს.

იაპონიის დაზვერვა მუდამ ზრუნავს იმაზე, რომ ხელი შეუწყოს ჩინეთის დაქსაქსულობასა და დაქუცმაცებას.

პროვოკაციების სისტემის განსახორციელებლად იაპონიის დაზვერვას ესაჭიროება არა შემთხვევითი, არამედ ფრიად კვალიფიციური აგენტურა. გომინდანის ზოგიერთი დიდი მოღვაწე, პროვინციული მთავრობების წევრები, თვალსაჩინო გენერლები — აი კონტინგენტი იმ სპეციალური აგენტურის შესავსებად, რომელიც, იაპონელი პოლკოვნიკებისა და კაპიტნების ხელმძღვანელობით, სისტემატურად უთხრის ძირს და აფერხებს ჩინეთის ნაციონალური გაერთიანების საქმეს.

რიცხვობრივად ეს სპეციალური აგენტურა უთმობს ჩვეულებრივს, მაგრამ ისიც მეტისმეტად ფართოა. იაპონელი გადამბირებლები მარჯვედ „ამზადებენ" შესაფერ აგენტურას იმ შემთხვევაშიც კი, თუ უახლოეს დროში არ აპირებენ მის გამოყენებას.

ცნობილია, მაგალითად, რომ მანჯურიაში 1931 წ. იაპონიის ინტერვენციის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე იაპონელები იბირებდნენ წარჩინებულ ჩინელ გენერლებს, რომლებიც, მათი აზრით, შეიძლებოდა „სასარგებლონი" ყოფილიყვნენ იაპონიისათვის მომავალში. ცნობილია, რომ ეს ანგარიში მნიშვნელოვნად გამართლდა.

და ამჟამადაც ჩინეთში საკმაოდ ბევრია თვალსაჩინო პოლიტიკური და სამხედრო ფიგურა — იაპონიის ფარული აგენტები. ისინი ჯერ კიდევ არ არიან მხილებულნი, როგორც ჯაშუშები, რომლებმაც თავი მიჰყიდეს იაპონელებს. ისინი ელოდებიან დღესა და საათს, — თუ პატრონი როდის მიუთითებს — ვის წინააღმდეგ დაიწყონ ამბოხება, სად მოაწყონ ცეცხლის წაკიდება და მკვლელობები.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ იაპონიის აგენტურის მიერ გამოყენებული შენიღბვის ფორმათა დიდი მრავალფეროვნება. უკანასკნელ დროს, ჩინეთის ხალხის მასების უფართოესი ანტიიაპონური მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით, იაპონელი მზვერავები საძაგლად თვალთმაქცობენ და თავისთავსაც სახავენ „ანტიიაპონურ ელემენტებად". ცნობილია შემთხვევები, როდესაც მსხვილი დივერსია — ამბოხების მომზადება ჩინეთის ერთერთ პროვინციაში იაპონელ დამპყრობთა სასარგებლოდ ძმათამკვლელი ომის გამოწვევის მიზნით — ტარდებოდა ანტიიაპონური ლოზუნგებით. იაპონელი აგენტები, რომლებმაც გაიკეთეს „პატრიოტების", „ხალხის მეგობრების" ნიღაბი, მოითხოვდნენ ჩინეთის ცენტრალურ ხელისუფალთა ჩამოშორებას იმის საფუძველზე, რომ ამ ხელისუფალთ არ შესწევთ უნარი წინააღმდეგობა გაუწიონ იაპონიის აგრესიას. ეს საზიზღარი თვალთმაქცობა, რომელსაც იაპონელ-გერმანელი ტროცკისტ - ბუხარინელი ჯაშუშები სსრ კავშირშიც ფართოდ იყენებენ, საუკეთესოდ მოწმობს ბრძოლის იმ ყველაზე მოშხამულ საშუალებათა არსენალს, რომლებსაც იყენებს იაპონიის დაზვერვა. ეგუება რა გარემოებას ითვალისწინებს რა, რომ ჩინეთში უკვე შეუძლებელია აშკარად გამოსვლა იაპონიის სასარგებლოდ, იაპონიის დაზვერვა ასწავლის თავის ჯაშუშებს მიიღონ ყოველგვარი დაცვითი სახე, ოღონდ კი რაც შეიძლება მეტი სისაძაგლე და მავნებლობა ჩაიდინონ.

○

იაპონიის სამხედრო წრეებს თვალში ეკლად ესობათ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც გაითავისუფლა თავი უცხოელი იმპერიალისტებისა და საკუთარი ფეოდალების ჩაგვრისაგან და რომელიც საბჭოთა კავშირის მეგობრული დახმარებით აშენებს ახალ, თავისუფალ ცხოვრებას.

იაპონიის სამხედრო წრეების ინტრიგები მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ დაიწყო უკვე იმ პერიოდში, როდესაც იაპონიამ ინტერვენცია მოაწყო ციმბირში. უკვე მაშინ იაპონიის აგენტურა სცდილობდა შეჭრილიყო და დამკვიდრებულიყო მონღოლეთში, რათა გაეადვილებინა მონღოლეთის გადაქცევა იაპონიის კოლონიად.

ეს ცდა ალკვეთილ იქნა, ხოლო იაპონიის დაქირავებული თეთრბანდიტი უნგერნი შეიპყრეს და დახვრიტეს.

მაგრამ შემდეგშიც იაპონიის დაზვერვას ერთი დღითაც არ შეუწყვეტნია თავისი ძირგამომთხრელი მუშაობა გარე მონღოლეთის წინააღმდეგ. აწარმოებდა რა რასისტულ პროპაგანდას (მონღოლთა და იაპონელთა „რასობრივი ერთიანობა"), ახდენდა რა კონტრრევოლუციური ბუდისტური სამღვდელოების (ლამების) მობილიზაციას, იაპონიის დაზვერვა აწყობდა მონღოლეთში შპიონაჟსა და ბანდიტიზმს. იაპონელი მზვერავები ფართოდ იყენებდნენ ბუდისტ ლამებს, რომლებიც ერთ დროს მონღოლეთის მთელი მოსახლეობის 40 პროცენტს შეადგენდნენ. იაპონიის დაზვერვა ლამებს იყენებდა შპიონაჟისთვისაც და მოსახლეობაში კონტრრევოლუციური აგიტაციის წარმოებისათვისაც. ამასთან ერთად ზოგიერთმა შენიღბულმა იაპონელმა მზვერავმა მოახერხა შეძვრა მონღოლეთის სახალხო - რევოლუციურ პარტიაშიც და აწარმოებდა იქ მუშაობას პარტიის რიგების გასახრწნელად. აღმოჩნდა, რომ მონღოლეთში ახლახან გამომჟღავნებული ბევრი ბურჟუაზიული ნაციონალისტი დაკავშირებული იყო პროვოკატორებთან, რომლებიც იაპონიის დაზვერვის პირდაპირი დავალებით მოქმედებდნენ.

შიდა მონღოლეთში იაპონიის დაზვერვის საქმიანობა, ცხადია, გაცილებით ნაკლებ დაბრკოლებებს ხვდება, ვიდრე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ჟეხეს და ჩახარის პროვინციებში იაპონიის სამხედრო მისიებს სრული შესაძლებლობა აქვთ გადაიბირონ დიდი შეიარაღებული ბანდები, დანიშნული როგორც გარე მონღოლეთის, ისე ჩინეთის ნაციონალურ ძალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მართალია, ბანდები და სამხედრო ჯგუფები, რომელთაც იაპონელები ადგილობრივ მონღოლ ფეოდალთა და ეკლესიის მსახურთა დახმარებით ჰქმნიან შიდა მონღოლეთში, ხოლო ნაწილობრივ ჩრდილოეთ ჩინეთშიც, არ სარგებლობენ იაპონელთა სრული ნდობით. იაპონელებს, რომლებიც მოქმედებენ მათდამი ადგილობრივი მოსახლეობის მტრული დამოკიდებულების პირობებში, მუდამ ეშინიათ ღალატისა თავიანთი დაქირავებულების მხრივ. ამიტომ იაპონიის დაზვერვა თავის დასაზღვევად ჰქმნის პარალელურ იაპონოფილურ ორგანიზაციებს. ამავე მოსაზრებით იაპონიის დაზვერვა შიდა მონღოლეთში მომქმედ ბანდიტურ შენაერთთა მეთაურებად წამოაყენებს ხოლმე ურთიერთის მოქიშპე ფეოდალ - თავადებს, რომლებიც ერთმანეთს ჯაშუშობენ და სცდილობენ, რომ იაპონელებმა სცნონ მათი პირველობა.

○

მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ იაპონელთა აქტიური დაზვერვითი მუშაობის დაწყება მიეკუთვნება პირველსავე თვეებს ოქტომბრის შემდეგ.

იმპერიალისტური ომის დროს იაპონია ფორმალურად ითვლებოდა მეფის რუსეთის მოკავშირედ გერმანიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. მაგრამ უკვე ამ პერიოდში „მოკავშირეს" განზრახული ჰქონდა პირველსავე მოხერხებულ შემთხვევაში ესარგებლნა მეფის რუსეთის სისუსტით და დაეპყრო რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის „ცუდად მდებარე" მიწები. იაპონიის გენერალური შტაბი „ითვალისწინებდა", რომ რანაირადაც არ უნდა დამთავრებულიყო იმპერიალისტური ომი, რუსეთი იქიდან იმდენად დასუსტებული გამოვიდოდა, რომ ვერ შესძლებდა თავისი შორეული აღმოსავლეთის აქტიურად დაცვას იაპონიის შემოტევისაგან. ამ მოსაზრებით იაპონელები — მოკავშირული „დახმარების" წესით—ენერგიულად ამარაგებდნენ მეფის მთავრობას უვარგისი იარაღით: ზარბაზნებით, რომლებიც არ ისროდნენ, ყუმბარებით, რომლებიც არ სკდებოდნენ.

სარგებლობდა რა ხელსაყრელი კონიუნქტურით — „მოკავშირული" ურთიერთობით,—იაპონიის აგენტურა მეფის რუსეთში განსაკუთრებით თავხედურად იქცეოდა.

რუსეთის არმიასთან მივლინებული იაპონელი ოფიცერი არაკი სადაო (სწორედ ის არაკი, რომელიც ცნობილია როგორც ანტისაბჭოთა ავანტიურების ყველაზე შმაგი პროპაგანდისტი) იმდენად აშკარა ჯაშუში იყო, რომ თვით მეფის ჟანდარმერია იძულებული იყო დაეპატიმრებინა იგი 1916 წელს ქალაქ ირკუტსკში. არაკი პატიმრობიდან გაათავისუფლა მხოლოდ მისმა ოფიციალურმა მდგომარეობამ და იმან, რომ მეფის ხელისუფალთ არ სურდათ დაერღვიათ მოკავშირული მეგობრობა იაპონიასთან.

მაგრამ არაკის ჯაშუშური კარიერა ამით არ დამთავრებულა. როგორც კი დაიწყო ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუცია რუსეთში, იაპონიის იმპერიალიზმმა გადასწყვიტა, რომ დაუდგა დრო განაღდოს რუსეთის პრიმორიეს დაპყრობის დიდიხნის ნალოლიავები გეგმა. 1918 წელს დაიწყო იაპონიის ინტერვენცია—ერთერთი ყველაზე მძაფრი და სისხლიანი იმპერიალისტური ცდა საბჭოთა ტერიტორიის დანაწილებისა და დაპყრობისა.

არაკი ხელახლა ამოტივტივდა ზედაპირზე, როგორც რუსეთის საქმეების „სპეცი". მისი ჯაშუშური ნიჭი გამოყენებას პოულობს ინტერვენტთა არმიაში. მას ავალებენ უხელმძღვანელოს ვლადივოსტოკში სამხედრო მისიას, რომელიც სპეციალურად ეწეოდა იაპონელი ჯაშუშების ინსტრუქტაჟსა და გადაბირებას.

(დასასრული იქნება)

„პრავდა", 9 ივლისი.

---

1) გაგრძელება, იხ. „კომუნისტი" 12 ივლისის ნომერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მიწით მოვაჭრენი"

საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის რაიკომის ბიუროს დადგენილებიდან

საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის რაიკომის ბიურომ 28 ივნისს განიხილა მასალები, რომლებიც მოყვანილი იყო „კომუნისტის" 27 ივნისის ნომერში დაბეჭდილ წერილში — „მიწით მოვაჭრენი". რაიკომმა სწორად სცნო წერილში მოყვანილი ფაქტები.

დადასტურდა, რომ სოხუმის რაიაღმასკომის (თავმჯდომარე ამხ. ა. გაბუნია), მანქანა - ტრაქტორთა სადგურის (სადგურის უფროსი ამხ. კიუტი) და რაიმიწგანის (გამგე ამხ. ლევონიანი) სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად გუმისტისა და ვოლოდაროვკის სასოფლო საბჭოში იყო მიწის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები. დადასტურდა აგრეთვე, რომ კოლმეურნეობა „განთიადის" (გუმისტის სასოფლო საბჭო) წევრებმა ჯაბა ბიოტახიამ მისთვის დატოვებული საკარმიდამო ფართობიდან ნაწილი მიჰყიდა პეტრე ფროლოვს 6.600 მანეთად. იმავე კოლმეურნეობის წევრმა პეტრე ზარქუამ თითქმის ნახევარი ჰექტარი მიჰყიდა 6 მოქალაქეს — დუხნატოვს, კუპრიანოვს, ბონდარენკოს, ვარნიკინს და სხვ. 5.600 მანეთად.

სოფ. გუმისტის ერთპიროვნულმა მეურნემ მაქსიმე ფარცვანიამ გაჰყიდა 500 კვ. მეტრის ფართობი 1.200 მანეთად და ა. შ.

ყველა ამ დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ მართლაც იცოდნენ კოლმეურნეობა „განთიადის" თავმჯდომარემ ხაჩიკ ხალაიჯიანმა და გუმისტის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ — მაკარ თავაძემ, მაგრამ არავითარ ზომას არ იღებდნენ და ამით კიდევ უფრო აქეზებდნენ სხვებს ასეთ დანაშაულობათა ჩადენისთვის. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს აზშილავას და წევრს მისაკ ხალაიჯიანს (ორივენი კ. პ. (ბ) წევრები არიან), არავითარი ზომა არ მიუღიათ, თუმცა კარგად იცოდნენ ყველა ამ დანაშაულობათა შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის რაიკომის ბიუროს დადგენილება ჩამოთვლილ დანაშაულობათა შესახებ გამოტანილ იქნა ჯერ კიდევ 16 ივნისს, სოხუმის რაიაღმასკომს (ამხ. გაბუნიას), რაიპროკურატურას (ამხ. ცეკვავა), რაიმიწგანს (ლევონიანი), გუმისტის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს თავაძეს და ვოლოდაროვკის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ქუთელიას არავითარი ღონისძიება არ მიუღიათ ამ დადგენილების განსახორციელებლად.

რაიკომის ბიურომ აღნიშნა, რომ სასამართლოს ორგანოებში ხშირად აჭიანურებენ ასეთ საქმეთა განხილვას (ქელიძის საქმე ვოლოდაროვკის სას. საბჭოდან და სხვ.) და როდესაც განიხილავენ, გამოაქვთ მეტად რბილი განაჩენები, სადაც დამნაშავეებს არავითარ სასჯელს არ adებენ.

მიწის ნაციონალიზაციის კანონის უხეშად დარღვევის დაშვებისა და მიწის ყიდვა-გაყიდვის ალსაკვეთად ზომების მიუღებლობისათვის გუმისტის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მ. თავაძე სოხუმის რაიკომის ბიუროს დადგენილებით გამორიცხულია პარტიის რიგებიდან. დასმულია საკითხი გუმისტის სასოფლო საბჭოს პლენუმის წინაშე მისი თავმჯდომარეობიდან გადაყენების შესახებ.

ამხ. თედორე აზშილავას—კოლმეურნეობა „განთიადის" სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს — გამოუცხადეს სასტიკი საყვედური პირად წიგნაკში აღნიშვნით. საყვედური გამოუცხადეს აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრს — ამხ. მისაკ ხალაიჯიანს.

რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გაბუნიას, რაიმიწგანის გამგეს ამხ. ლევონიანს და რაიონის პროკურორს ამხ. ცეკვავას მიეცათ გაფრთხილება.

რაიკომის ბიუროს დადგენილებაში გათვალისწინებულია მთელი რიგი სხვა ღონისძიება, რომელთა შედეგადაც სავსებით უნდა გამოსწორდეს გუმისტისა და ვოლოდაროვკის სასოფლო საბჭოებში შექმნილი მდგომარეობა.

პროფ. ი. ჯავახიშვილი (მარცხნივ) და საქართველოს მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლ. მუსხელიშვილი ათვალიერებენ რუსთაველის ეპოქის ჰურჭელს, რომელიც გამოტანილი იქნება გამოფენაზე რუსთაველის საიუბილეო დღეებში.

ფოტო რაშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

გორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი

გორში, დიდი სტალინის სამშობლოში დღეს გაშლილია ფართო მშენებლობა და გორი ახლო მომავალში სანიმუშო ქალაქად იქცევა.

გორს აქვს თავისი პედაგოგიური ინსტიტუტი, ეწყობა საჯარო ბიბლიოთეკა, ახლო ხანში დამთავრდა მოწყობა-გაფორმება სტალინის სახლისა და ეზოსი, რომელიც საუცხოო სანახაობას წარმოადგენს. ყოველ დასვენების დღეს სტალინის სახლის სანახავად გორში ჩამოდის მრავალრიცხოვანი ექსკურსიები, რომლებსაც სტალინის სახლისა და გორისციხის დათვალიერების შემდეგ აინტერესებთ იმ კუთხის მხარეთმცოდნეური გაცნობა, სადაც აღიზარდა პროლეტარიატის დიდი ბელადი.

ამ მიზნით განსახკომმა 1935 წელს გორში გახსნა სამხარეთმცოდნეო მუზეუმი, რომელმაც უბინაობის გამო ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო გაეშალა მუშაობა და გამოფენების სახით მოეცა ქართლის ბუნება და მისი ისტორიულ-რევოლუციური წარსული. მაგრამ მიუხედავად ამისა, მუზეუმმა შესძლო მოეწყო თემატიკური ხასიათის გამოფენები: ქართული დამწერლობის ისტორია, ქართული ნუმიზმატიკა, ქართული ხელსაქმე, გორის მეჭურჭლეობა, იარაღების გამოფენა, ცრუმორწმუნეობის კუთხის მოწყობა და სხვა. გამოფენაზე წარმოდგენილია იშვიათი ექსპონატები, რომლებიც მეცნიერულად გამოკვლეულია და შესწავლილი გამოფენები მოწყობილია ლამაზად და სამუზეუმო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით. მუზეუმი აწყობს ქართლის მეხილეობის გამოფენას და გორის რაიონის ხალხოსან მწერლების კუთხეს (ლომოური, ძგალობლიშვილი, ფურცელაძე და სხვა). ეს გამოფენები გაიხსნება ა.-წ. პირველ ოქტომბერს.

მუზეუმი გამოსაფენად ამუშავებს გორის ისტორიას, რომელიც დაყოფილია სამ პერიოდად: ძველი გორი, გორი მენშევიკების ბატონობის დროს და საბჭოთა გორი. ნაწილი მასალისა უკვე დაგროვილია. სამუზეუმო მუშაობაში ჩაბმულია გორის პედ-ინსტიტუტის სტუდენტობა.

მუზეუმმა შეიძინა გარსევანიშვილების მდიდარი არქივი და ძველი ბიბლიოთეკა, რომელშიაც აღმოჩნდა მრავალი ძველი ხელნაწერი და აგრეთვე ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი".

მუზეუმს განზრახული აქვს გორის რაიონში აწარმოოს არქეოლოგიური გათხრები და აგრეთვე მოაწყოს კომპლექსური გამოფენები საზოგადოებრივი ფორმაციებისა და კლასობრივი დაპირისპირების მიხედვით (ყმა გლეხი და მებატონე თავადი, სოციალისტური მშენებლობა, შეძლებული კოლმეურნე და სხვა).

მაგრამ მუზეუმს ამისათვის პირველყოვლისა ესაჭიროება შესაფერისი ბინა, რაც მას ჯერ-ჯერობით არ გააჩნია. ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ და განსახკომმა ახლავე უნდა იზრუნონ, რომ გორში აშენდეს მუზეუმისათვის სპეციალური შენობა, რათა ჩვენ ღირსეულად წარმოვადგინოთ დიდი სტალინის სამშობლოს — ქართლის მდიდარი ბუნება, ისტორიული წარსული და სოციალისტური მშენებლობა.

ს. მ.

◇

ლისის გზაზე

ლისის ტბა თბილისის მშრომელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახდა. აქ ათასობით მშრომელი იყრის თავს. მიდიან ჯგუფები ავტომობილებით, ველოსიპედებით, მოტოციკლებით, ხოლო დიდ უმრავლესობას ფეხით სიარული უხდება.

— რატომ?

იმიტომ, რომ თბილისის ავტოტრანსის დირექციას, ალბათ, არ სურს შეასრულოს ხალხისათვის მიცემული დაპირება, არ სურს ამუშაოს ავტობუსები ამ მარშრუტით.

— გზა არ არისო,—ეუბნებიან მშრომელებს ავტოტრანსელები.

ამ სტრიქონების ავტორი იყო ამ გზაზე. საკმაოდ კარგი გზაა. იქ არა ერთი და ორი ათეული დიდი ავტომობილი დაჰქრის. თბილავტოტრანსის ავტობუსები მოდიან პირველი შეღმართის ძირში და უკან ბრუნდებიან.

ვეკითხებით თბილისის ავტოტრანსის დირექციას:

— რატომ?

დ. ლომთაძე

საბაბინაქო მანქანა

უახლოეს დღეებში დაიწყება 26 კომისრის სახ. ქარხნის მიერ წელს ათვისებულ პირველ სანიმუშო საბაბინაქო მანქანის გამოცდა და მიღება. მიღებაში მონაწილეობენ აბრეშუმის მთავარსამმართველოს, „კოევვოლოკნოს", ხელოვნური აბრეშუმის სრულიად-საკავშირო ტრესტის, ხელოვნური აბრეშუმის მთავარსამმართველოს კომისიები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები.

ამ მანქანის გამოშვება დიდ ნაბიჯს წარმოადგენს ქარხნის ტექნიკურ განვითარებაში.

საქარხნო კომისიის მიერ ქარხანაში ჩატარებულმა სასინჯმა გამოცდამ კარგი შედეგები გამოიღო. მანქანა უნაკლოდ მუშაობს. აბრეშუმის მრეწველობის კომისიების მიერ მანქანის მიღების შემდეგ ქარხანა შეუდგება სერიულ წარმოებას. წლის დამლევამდე ქარხანა გამოუშვებს კიდევ რამდენიმე ასეთ მანქანას (საქდესი).

თბილისის მაუდის ფაბრიკაში მოეწყო სანიმუშო ხაყვავილე. სურათზე: მებაღე ნუსია კოროლიოვა დასარგავი ყვავილით.

ფოტო ზუდუშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

სასამართლო

ეჭვიანი მარიამი და ლმობიერი მოსამართლე

მარიამ ამბაროვას დიდი ხანია მარგარიტა მამუკაშვილზე შურისძიების სურვილი გულს უღრღნიდა. მას არ ასვენებდა ამბავი, რომელიც გორელმა ჭორიკანებმა შეატყობინეს: მარგარიტა მამუკაშვილი შენს ქმარს ყვარობსო.

მარიამ ამბაროვაც აყვა ჭორიკანების ხმებს და გადასწყვიტა მამუკაშვილის თავიდან მოცილება.

— ერთ დღესაც არ ვაცოცხლებ იმ სალახანას ჩემი ოჯახის მყუდროების დარღვევისათვის,—ფიქრობდა მარიამი.

ერთ მშვენიერ დღეს დროც იხელთა და მარგარიტა მამუკაშვილს ხანჯლით დაუდევნა. თავისი გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა: უდანაშაულო ქალს ხანჯალი სამჯერ ჩასცა ფერდში, იქვე მოჰკლავდა, რომ მარგარიტას ხალხი არ შეშველებოდა. მარგარიტა სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ სამუდამოდ დასახიჩრდა.

ეს ამბავი გორში მოხდა. საქმე რაიონის სახალხო სასამართლომ გაარჩია. მარიამ ამბაროვას წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 19-144 მუხლი, მაგრამ მოსამართლე ვ. ბახტაძემ, რომელიც ამ საქმეს არჩევდა, რატომღაც აღნიშნული მუხლი 153-ით შეუცვალა და ამბაროვას ერთი წლით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა.

საქმე ამით არ დამთავრებულა. რაიპროკურორმა განაჩენი გააპროტესტა. საქმე ხელმეორედ გაირჩა იმ მუხლის მიხედვით, რომელიც პირველად (და ძალიან სწორად) წაყენებული ჰქონდა ბრალდებულს. ამბაროვას 2 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

საერთოდ გორის რაისასამართლოს და კერძოთ მოსამართლე ვ. ბახტაძის პრაქტიკაში იშვიათი ამბავი არაა სხვა მუხლების არევა და არასწორ განაჩენების გამოტანა. წელს გორის რაიპროკურორმა ამხ. ელიგაშვილს 50 განაჩენი გაუპროტესტებია.

ლ. ტუროვი

◇

საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი

მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, რომელიც დავითის მთაზეა, თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით გადაეცა თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებას.

პანთეონის მოვლა-პატრონობისა და მეთვალყურეობისათვის განათლების განყოფილებასთან შექმნილია სპეციალური საბჭო, რომელშიაც შედის 11 სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. პ. აფხაძე.

◇

ხილ-ბოსტნეულის ვაჭრობის გაუმჯობესება

ხილის მოსავალი წელს უხვია ჩვენს რესპუბლიკაში, ბოსტნეულიც ჭარბად შემოდის ქალაქში, მაგრამ სად უნდა იყიდოს მომხმარებელმა ან ერთი, ან მეორე? ბაზრებზე ყოველთვის წასვლა ძნელია, ხოლო ხილისა და ბოსტნეულის მაღაზიები კი ყველგან არაა. თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ეს საკითხი და დაავალა სავაჭრო ქსელს, მუდამ იქონიოს ხილი და ბოსტნეული.

ხილ-ბოსტნეულის სავაჭროდ გამოყოფილია 10 მაღაზია ლენინის რაიონში, 17—სტალინის რაიონში, 13—ორჯონიკიძის რაიონში, 16—კიროვის რაიონში და 11 მაღაზია 26 კომისრის რაიონში. არსებული სპეციალიზებული მაღაზიების გარდა უახლოეს ერთ კვირაში თბილისში გახსნიან კიდევ 14 მაღაზიას, სადაც მხოლოდ ხილი და ბოსტნეული გაიყიდება.

ხილისა და ბოსტნეულის ვაჭრობა მოეწყობა მაღაზიების წინ ქუჩებში, რომ ამ საშუალებით მოისპოს „კუდები" მაღაზიებში და, გარდა ამისა, უფრო სწრაფად ხდებოდეს გასასაღებლად შემოტანილი ხილ-ბოსტნეულის რეალიზაცია.

ხელოვნება

უკრაინული კაპელა „დუმკა" თბილისში

„დუმკა", ეს არის „დერჟავნა უკრაინსკა მანდრივნა კაპელა", რაც ნიშნავს უკრაინის სახელმწიფო მოგზაურ კაპელას. 17 წელიწადია, რაც „დუმკა" არსებობს. პირველ წლებში მომღერალ ქალ-ვაჟთა რიცხვი 40—50 უდრიდა, დღეს კი ეს ორგანიზაცია ითვლის თავის რიგებში 150 წევრს. მის რეპერტუარში 500-მდე სხვადასხვა სიმღერა შედის. გარდა უკრაინული ხალხური და კომპოზიტორების მიერ შექმნილი სიმღერებისა, რომელთა რაოდენობა 300 აღემატება, გუნდი მღერის აგრეთვე, როგორც კლასიკურს, ისე სხვა ეროვნებათა ხალხურ სიმღერებს: რუსულს, ბელორუსიულს, ქართულს და სხვ.

„დუმკას" ხელმძღვანელი ამხ. ნესტორ გოროდოვენკო მუსიკალურად ფრიად განსწავლული ადამიანია. იგი თავიდანვე დაუშრეტელი ენერგიით მოეკიდა ამ საქმეს და, აი, კიდევაც ვხედავთ, თუ რა სიმაღლემდე აიყვანა მან ეს საქმე. ეს ორგანიზაცია ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპაშიაც. 1932 წელს „დუმკამ" გამართა კონცერტები პარიზში და დიდი გამარჯვება მოიპოვა. დღემდე არც ერთ კაპელას ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია მთლიანად არ შეუსრულებია. „დუმკა" მას ასრულებს.

„დუმკას" პირველი კონცერტები თბილისში გაიმართა 11 და 12 ივლისს „საქფილგეთის" ფილიალში. როგორც პირველ, ისე მეორე კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო.

კონცერტები სამი განყოფილებისაგან შესდგებოდა. პირველი განყოფილება შესდგებოდა კლასიკოსებისაგან. შესანიშნავად შეასრულეს „აბესალომ და ეთერის" გუნდი „აბიო მეფე"; შედევრს წარმოადგენს გუნდის შესრულებით ფრანგი მუსიკოსის ჰუნოს სიმღერა „ნიი"; მშვენიერი იყო ჰენდელის „შრომის ჰიმნი". თავისებური ოსტატობით შეასრულეს თაყვანთი კომპოზიტორების ლისენკოს და კოსტენკოს სიმღერები.

ნესტორ გოროდოვენკო

„დუმკას" ხელმძღვანელი, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი.

— ლისენკო ჩვენში ისეთია, როგორიც თქვენში ფალიაშვილი, — სთქვა საუბარში ამხ. გოროდოვენკომ, — მას მრავალი ოპერა აქვს დაწერილი. ის ყველაზე საყვარელი კომპოზიტორია უკრაინაში.

მეორე განყოფილებაში, გარდა უკრაინული სიმღერებისა, შესრულებულ იქნა ორი ქართული სიმღერა: „ცანგალა და გოგონა", დამუშავებული ზ. ფალიაშვილის მიერ და „ნანა-შვილო", ჩაწერილი არაყიშვილის მიერ. ორივე სიმღერა მაღალი ოსტატობით იქნა შესრულებული.

მესამე განყოფილებაში საყურადღებო იყო ბელორუსიული ხალხური სიმღერა „ჩვგობრები", „დილი-დილა", დამუშავებული ზ. ფალიაშვილის მიერ, რომელიც გამეორებულ იქნა და სხვ.

12 ივლისის კონცერტზე შესანიშნავად შეასრულეს სიმღერები: „ოპილუშკა პოლე", „ო, დუბა-დუბა", „ბელიი არბუზ კატაეტსია, ჩიგო მუჟიკ ცილუეტსია"—სოლოუნჯუ და სხვ. კარგი იყო „ჩერვონაია კალინკა" მსახიობი ქალის კუზმინას შესრულებით.

ორივე კონცერტის ბოლოს „დუმკას" ოვაცია მოუწყვეს. ეს კაპელა მოგზაურია, ყოველ წლობით იმართება მისი ტურნე საბჭოთა კავშირის ფარგლებში. „დუმკას" კონცერტებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ერების საგუნდო ერთეულები ბევრს რასმე შეიძენენ, „დუმკას" მაგალითზე.

ლადო ვებაჭორი

ექსპედიცია მესხეთ-ჯავახეთში

საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოება შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით მიმდინარე ზაფხულს მესხეთ-ჯავახეთში ჩაატარებს ფართო საზოგადოებრივ და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებს.

ახალციხეში გაიხსნა საზოგადოების ფილიალი, რომელიც უკვე შეუდგა თავისი რაიონის მხარეთმცოდნეურ შესწავლას. საზოგადოების ინიციატივით და დახმარებით ახალციხეში დაარსდა სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

15 ივლისიდან საზოგადოება მესხეთ-ჯავახეთში აგზავნის ორ ექსპედიციას: გეოლოგიურ-მინერალოგიურს პროფ. ივ. ყიფშიძის ხელმძღვანელობით და ისტორიულ-ეთნოგრაფიულს დოც. სერ. მაკალათიას ხელმძღვანელობით. ექსპედიციაში მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი მხარეთმცოდნენი: ი. მაისურაძე, კ. გვარამაძე, გ. ნათენაძე და სხვ.

ექსპედიციის მიერ შეგროვილი ექსპონატები და კოლექციები გადაეცემა ახალციხის მუზეუმს. ს. მაკალათიას დავალებული აქვს მუზეუმში მოაწყოს თემატიკური გამოფენები.

საზოგადოების ხარჯით და ხელმძღვანელობით ვარძიაში და ახალციხეში მოეწყობა მოწინავე მასწავლებელთა ექსკურსია.

ნეკროლოგი

ამხ. გ. კურტანიძე

მოულოდნელად გარდაიცვალა ამხ. გიორგი (გოგი) გრიგოლის-ძე კურტანიძე.

ამხ. გოგის უდროოდ სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენთვის. მისი სახით ჯულფის პარტიულმა ორგანიზაციამ დაკარგა მტკიცე ბოლშევიკი, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებული მებრძოლი.

ამხ. გოგიმ ბავშვობის წლები სიღარიბეში გაატარა. 1926 წელს მუშაობდა ჭიათურის მაღაროებში მენიჩბეთ. 1930 წელს, როგორც დამკვრელი და პოლიტიკურად მოწინავე მუშა, მიღებულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) რიგებში.

1933 წელს ამხ. კურტანიძე იგზავნება ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. 1935 წელს კომუნისტურ უნივერსიტეტს წარმატებით ამთავრებს და ინიშნება ჯულფის სარაიონო გაზეთ „ლენინელის" პასუხისმგებელ რედაქტორად.

უკანასკნელ დროს კი ის მუშაობდა ფერომშენადნობთა ქარხნის კადრების განყოფილების გამგედ და რაიკომის მიერ წამოყენებული იყო „კომუნისტის" საკორესპონდენტოდ ჯულფის რაიონში.

მოულოდნელმა სიკვდილმა შესწყვიტა მისი დაუღალავი მუშაობა და ბრძოლა კომუნიზმისათვის.

ნ. პატარაია, ვ. მატჩურაშვილი, ნ. შარიქაძე, ნ. კუკაძე, გ. მახარაძე, ვ. სალაძე, ა. კაშია, კ. ბარათელია, ვლ. ხალაძე, ი. გელაშვილი, კ. შალამბერიძე ვ. გველესიანი.

◇

ახალი ამბები

- საქართველოს მუზეუმში გაიხსნა გეოლოგიური გამოფენა. გამოფენა გვაცნობს საბჭოთა საქართველოს სამთო მრეწველობას და მის უდიდეს განვითარებას.
- თბილისის მაუდის ფაბრიკამ 1937 წლის პირველ ნახევარში დაამზადა 590.146 მეტრი ქსოვილი და გეგმა შეასრულა 104 პროცენტით.
- საქ. ავტოტრესტი აწყობს ახალ საავტომობილო ხაზს, რომელიც მომსახურეობას გაუწევს მგზავრების გადაყვანას ფოთიდან სამტრედიამდე ცხაკაიაში გავლით.
- დღეს, 14 ივლისს, საღამოს 8 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (ს. ტაბის ქ. № 128) მოწვეულია ლენინის რაიონის საბჭოს პლენუმი.
- 15 ივლისს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კავშირში მოწვეულია სალიტერატურო წრეების საქალაქო შეკრება.

◇

შემთხვევები

უბედური შემთხვევა. პლეხანოვის ქუჩაზე ლუქსემბურგიდან ჩამოსული ბახტიარ ნაბირ ოღლი ჩამოხტა № 5 მარშრუტის ტრამვაის ვაგონიდან და დაშავდა. ნაბირ ოღლი ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში მოათავსეს.

გაუფრთხილებელი სვლა. პლეხანოვის პროსპექტზე მსუბუქი ავტომანქანა № 12—09, რომელსაც მართავდა შოფერი ვ. ბ. ბალდასაროვი, დაეჯახა ე. ა. პეპელაშვილის ქალს (დავითაშვილის ქ. № 30). დაშავებული „სასწრაფო დახმარების" საავადმყოფოში მოათავსეს. შოფერი ბალდასაროვი პასუხისგებაში მისცეს.

სასჯელის მოსახდელად გამოცხადება. 12 ივლისს სისხლის სამართლის მილიციის მორიგე თანამშრომელთან გამოცხადდა ვ. ს. მჭედლიძე და განაცხადა, რომ ლენინის რაისაბჭოს სარემონტო კანტორაში მუშაობის დროს მან გაფლანგა 3,000 მანეთი, რის შემდეგაც მიიმალა თბილისიდან. გამოძიება სწარმოებს.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

14 ივლისი

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „აღდგენის პერიოდის სამეურნეო სიძნელენი და პარტიის ბრძოლა ტროცკისტებისა და ზინოვიეველების წინააღმდეგ 1923—1925 წლების პერიოდში"—რუსულ ენაზე, დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „პროლეტარიატის დიქტატურის როლის შესახებ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაში — რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის კაპიტალისტური გარემოცვა და კლასობრივი ბრძოლა ეხლანდელ ეტაპზე". —ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კონსულტანტი ამხ. კ. ჩარკვიანი.

○

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომი იუწყება, რომ 1936 წლის ნიმუშის საკანდიდატო ბარათი № 071721 გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მიერ ერზიე იოზას-ძე შერგელაშვილის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის პ/ბილეთი № 1531714, გაცემული ფოთის საქალაქო კომიტეტის მიერ გასული წლის 30 ივლისს იოსებ კონსტანტინეს-ძე ჩიქოვანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გრ. მუშიშვილი

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 7, 9, 11	დადგმის მეორე კვირა მეოთხე ესკადრონი
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30	საზაფხულო შენ. პარტიზანის ძალიშვილი საზამთრო შენ. დნეპრი ცეცხლის ალში
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30	საზაფხ. შენ. არსენა ქართულ ენაზე საზამთ. შენ. არსენა რუსულ ენაზე
რ. ლუქსემბ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი ფილმი არსენა ქართულ ენაზე
26 კომ. სახ. საზამთ. 6-30 საზაფხ. 9	საზამთრო შენ. მაქსიმეს სიყრმე საზაფხ. შენ. მაქსიმეს დაბრუნება
კომინტერნი 9, 11	ხმოვანი ფილმი ცამეტნი
არსენა (კიროვის სახ. რაიონი)	ხმოვანი ფილმი ნარინჯის ველი
ახალი ამბები.	გმირთა შეხვედრა ხმოვანი ჟურნალი № 29

ახლო მეგობრები: პ. შარია, ბ. გორდელაძე, გ. სულუხია, ი. თავაძე, ა. დარახველიძე თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ვლ. გოგეშვილს მისი ძმის **სერგო სილიბისტროს-ძე გოგეშვილის** გარდაცვალების გამო.

საქ. კოოპინკავშირის სისტემაში შემავალი ინვალიდთა არტელის „ენერგიის" დასკვნითი ბალანსი 1937 წ. 1-ლი იანვრისათვის

აქტივი — პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან.	კ.	№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან.	კ.
1	ძირითადი საშუალებანი	43678	50	1	ფონდები	4306	37
2	მარაგი ნედლეულის, მასალისა და სათბობისა	22042	72	2	მიზნობრივი რეზერვები	1254	21
3	სისტემის პროდუქცია და საქონელი	223	00	3	ანგარიშსწორებანი	76936	17
4	ფულადი საშუალებანი	1199	56				
5	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	7301	33				
6	დანაკარგები	8051	64				
	ბალანსი	82496	75		ბალანსი	82496	75

1936 წ. დაგროვებისა და დანაკარგების ანგარიში

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან.	კ.	№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან.	კ.
1	ზარალი რეალიზაციიდან	29053	70	1	შემოსავალი რეალიზაციიდან	4599	—
2	სხვადასხვა ხარჯები და ზარალი	2063	79	2	შემოსავალი სხვადასხვა	18466	85
				3	მიმდინარე წლის დანაკარგები	8051	64
	ბალანსი	31117	49		ბალანსი	31117	49

დამტკიცებულია კოოპინკავშირის საბალანსო კომისიის მიერ ა/წ. 25 იანვარს.

გამგეობის თავმჯდომარე ვ. გეგეჭკორი. მთავარი ბუხჰალტერი კ. დგებუაძე. 1605

ბალანსი საქ. ინვ. კოოპ. არტელ „პირველი მაისის" 1937 წლ. 1 იანვრისათვის 1936 წლ. 1 იანვრის ბალანსთან შედარებით

(მანეთებში)

აქტივი — პასივი

მუხლების დასახელება	1936 წლ. 1 იანვრ.	1937 წლ. 1 იანვრ.	მუხლების დასახელება	1936 წლ. 1 იანვრ.	1937 წლ. 1 იანვრ.
1. ძირითადი საშუალებანი	74.198	74.972	1. ძირითადი ფონდი	73.230	106.285
2. საწარმოო მასალები	64.525	51.332	2. დანარჩენი ფონდები	23.134	36.730
3. მზა ნაწარმი	19.343	74.915	3. სარეგულაციო ანგარიშები და რეზერვები	2.759	23.379
4. ფულადი საშუალებანი	11.225	9.657	4. მოზიდული საშუალებანი (სახ. ბანკი სესხ.)	44.278	10.553
5. საშუალებანი ანგარიშსწორებაში	65.562	66.983	5. საშუალებანი ანგარიშსწორებაში	44.951	75.899
6. გაგზავნილი საქონელი (ინკასო)	60.951	80.097	6. დაგროვება	113.802	112.460
7. განყენებული საშუალებანი	7.350	7.350			
ბალანსი	302.154	365.306	ბალანსი	302.154	365.306

1936 წლის მოგება-ზარალის ანგარიში

ხარჯები და დანაკარგები	თანხა	შემოსავალი და დაგროვება	თანხა
1. ხარჯები გასული წლის (სადარაბო სექციის)	4.291	1. შემოსავალი რეალიზაციიდან	123.515
2. ხარჯები სხვადასხვა	7.263	2. შემოსავალი სხვადასხვა	498
3. დაგროვება მიმდინარე წლისა	112.460		
ბალანსი	124.014	ბალანსი	124.014

დამტკიცებულია კოოპინკავშირის საბალანსო კომისიის მიერ 1937 წლ. 2 თებერვლის ოქმით და ქ. თბილისის სტალინის რაიფინგანის მიერ 1937 წლ. 17 მარტის ოქმით.

გამგეობის თავმჯდომარე ტერ-ავეტიკიანი. მთავარი ბუხჰალტერი ი. მაღალაშვილი. 1588

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის —3—57—61, სასოფლო-სამეურნეო —3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ/მზ. მორიგის —3—26—67, გამომცემლობის —3—51—81, სტამბის დირექტორის —3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ზ. 8593